


გაუზიარებელი სიყვარული



ზურაბ ქიქნაძე

სიტყვა, რომელიც უნდა წარმოთქმულიყო საგურამოს პრემიის დაჯილდოების ცერემონიაზე 2021 წლის 8 ნოემბერს

„საგურამოს“- ილიას სახლის მესვეურნი, პატივცემული საზოგადოებაც, კოლეგებო და მეგობრებო, როგორ გამოვხატო სიხარული და მადლიერების გრძობა, ამჟამად რომ განვიცდი თქვენ წინაშე. საქართველოში ბევრი პრემიაა დაწესებული რუსთაველიდან დაწყებული ჩვენს თანამედროვე ან გარდაცვლილი მწერლების სახელით დამთავრებული. ყველა პრემიას, თითოეულ მათგანს, თავისი პატივი აქვს. მაგრამ სხვათაგან განსხვავებით, „საგურამოს“ პრემია ჩვენთვის ძვირფასია იმით, რომ იგი ატარებს იმ კაცის სახელს, რომლის ღვაწლი და დიდება შირს გასცდა ლიტერატურის სფეროს, ოდენ მისით არ შემოფარგლულა. დამეთანხმებით, რომ მისი მნიშვნელობა გაცილებით მეტია, ვიდრე პოეტისა, რომელიც ამბობდა, რომ „არა მარტო ტკბილ ხმათათვის გამოვზავან ქვეყნად ცაშა“-ო. პარადოქსია თითქოს და, შესაძლოა, ნიშანდობლივი, რომ უმეტესობა ლექსებისა, მათ შორის, საპროგრამოსი, სამშობლოსგან მოშორებით, უცხოეთის ცისქვეშ არის დაწერილი. სამშობლოში დაბრუნებულმა მხოლოდ მცირე ნაწილი შესძინა თავის პოეტურ შემოქმედებას. ამ თავდადებულ შობილმა, დაუღალავმა, მრავალფეროვანი იდეებით შთაგონებულმა ადამიანმა მთელი თავისი ენერჯია უამრავ აუცილებელ პრაქტიკულ საქმეებზე გაანაწილა - პრესა, თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ბანკი და სხვა საქმენი, რასაც პოეტი არ მოჰკიდებდა ხელს, არათუ მთელს ენერჯიას შეაღებდა... ორი სიტყვით როგორ შევძლებთ მისი ღვაწლის თუნდაც ნაწილობრივ მიმოხილვას. ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება რამდენიმე მომენტზე შევაჩერო.

ილიამ თავის საპროგრამო ლექსში „პოეტი“ პოეზიას იმაზე მეტი ამოცანა დაუსახა, რაც მას, როგორც ესთეტიკურ ფენომენს, ყოველდღიურობაში აქვს. პოეტის საქმიანობა მან წინასწარმეტყველის მონოდებას გაუთანაბრა. ეს მხოლოდ უბრალო მეტაფორა კი არა, არამედ მისი სულის ამოძახილი იყო, რაც მან მთელი თავისი ლიტერატურული შემოქმედებით, ცხოვრებით და, ბოლოს, აღსასრულითაც აჩვენა. მისი პროფეტიზმი ორი მიმართულებით გამოვლინდა, რითაც ის ბიბლიური წინასწარმეტყველებას მოგავსებდა. ეს არის მხილებითი პათოსი, რომელიც გასდევს მთელს მის შემოქმედებას, და მომავლის განჭვრეტა. მხილებაზე არ ვილაპარაკებთ, ისედაც კარგად არის ცნობილი. ორიოდ სიტყვას მის პროფეტიზმზე ვიტყვი. პროფეტულია სიტყვები, „ქართველის დედიდან“ რომ მოესმა იმ საუკუნეს და ჩვენამდეც აღწევს მთელი ძალმოსილებით: „მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდი ფარდისა და ეს ვიხილე...“ და სურათი, რომელიც იხილა, სრულიად წარმოუდგენელი იყო იმდროინდელი ახლადმშენებარე საქართველოსთვის.

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედაც, ამბავი: ჩვენი ქვეყანა, საქართველო გაღვიძებულა, მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმოქმინავე, ერთისა აზრით, ერთის გრძობით აღელვებულა.


იმხანად ამ ორ ნატვრას - ქვეყნის გამოღვიძებასა და კავკასიის ქართული ნიშნით ერთიანობას - შორის პირველი (გამოღვიძება) დღეს ახმდარია, მეორე კი - ლიდერობა კავკასიაში - დღესდღეობით მხოლოდ ჩვენს გეოპოლიტიკურ ოცნებებშია ჩარჩენილი. მაგრამ ეს შორეული პერსპექტივის ზეამოცანაა, რომელსაც პოეტმა გაფართოებული მამულის კონცეფციაში აპოფინა ადგილი. ამ ხილვაში ცხადდება მისი, როგორც წინასწარმეტყველის, ესქატოლოგიური მესიანიზმი. ეს ნიშნავს, რომ პოეტის განჭვრეტით, მას ჯამს გეოპოლიტიკურ პერსპექტივაში საქართველოს კავკასიის მასშტაბით კვლავ მოელის ცენტრალური ადგილი.

პროფეტულ „ქართველის დედაში“ პოეტის დიდ სიტყვა-ცნებას - მამულს სწორედ ეს გაფართოებული, ესქატოლოგიურ ჟამში მოსალოდნელი მნიშვნელობა აქვს, როგორც ამბობს არაორაზროვნად, გაბედულად, არსებული პოლიტიკური რეალობის საპირისპიროდ: „კასპის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, - / და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება“, და, ბოლოს, კიდევ: „ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა, // მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმოქმინავე, // ერთისა აზრით, ერთის გრძობით აღელვებულა“. ასეთი უნდა ყოფილიყო მის პროფეტულ ხედვაში გაფართოებული მამულის კონცეფცია.

როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველი, იყო მარტოსული და ხშირად განწირულიც იმ საზოგადოებაში, რომლის სამხილებლად და მომავლის პერსპექტივის საჩვენებლად იყო მონოდებული. ასევე, ილია განიცდიდა ობლობას მშობლიურ ხალხში, რაც არაერთ ლექსში გამოუხატავს. ყველას გვახსოვს სტრიქონები სხვადასხვა ლექსიდან: „ვიდექ მარტოცა...“, „ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, // რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი, // რომ ფიქრი ვანდო, გრძობა ჩემი განვუზიარო“. ან ეს გულმოსაკლავი სტრიქონები: „არსაიადამ ხმა, არსით ძახილი! / მშობელი შობილს არასა მეტყოდა, / ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი/ ქართველის ძილშია კენესა ისმოდა!“ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პროფეტი პოეტის ობლობა თავისივე მშობლიური ქართველი ერის ობლობას ეხმაურება. მეორე მხრივ, ერთადერთი ილია იყო, რომელმაც ბარათაშვილის ობლობა იმეკვიდროვა. ილია ისეთივე ობოლი იყო თავის მამულში, როგორც ბარათაშვილი, რომლის სულით ობლობა თუმცა მამულისგან გაუცხოებამა დაიზარდა („მერანი“). მამულის, როგორც ირაციონალური, მეტაფიზიკური ნოუმენის ილიასული კონცეფცია, ეხმაურება ბიბლიური პროფეტების წარმოდგენებს აღთქმულ მიწაზე.

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხედებინაო“, ამბობს რუსთველი საუკუნო სიტყვებს. ილიას მიჯნურობასაც მამულისადმი მცირედნი თუ ხედვობდნენ. რაციონალურ, ჭკვიანურ და, ბოლოს, პრაგმატულ მე-19 საუკუნეში ილიამ მიჯნურობის ირაციონალური საწყისი დაუკავშირა მამულიშვილობას, პატრიოტიზმს. ის განიცდიდა თავს ობლად, რითაც ეხმაურებოდა თავისი მამულის ობლობას, და წუხდა: როგორ შეეძლო ან ვისთან შეეძლო მას ამ სიყვარულის, ესოდენ ინტიმური გრძობის განზარება? ვის ჰქონდა მეხუთე გრძობა ძილში მყოფი ქართლის კენესა მოსასმენად? აქ გაუზიარებელი სიყვარულია, რადგან სატრფო-მშობელი დუმს. მაგრამ სწორედ იმით, რომ გაუზიარებელია, სიყვარული მით უფრო ძლიერია. ცალმხრივი სიყვარული სიყვარულის კლასიკური სახეობაა და ასე რჩება სამუდამოდ. ილიას უყვარდა მამული, მამულმა კი შეიყვარა ილია? ვერა, მაგრამ ამ ცალმხრივობამ და დუმილმა ვერ გაანელა სიყვარული, მეტი ცეცხლი შემატავა მას.

აი, ჩვენი მშობლიური მე-19 საუკუნიდან გზას გვინათებს, გვაიმედებს კაცი, რომელმაც თავისი სიცოცხლით და სიკვდილით მთელი ეპოქა მოიცვა და მისი დასასრულიც მოასწავა, რაც ილიასებური პროფეტული გზებით გამოთქვა გალაკტიონმა: „წინამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“.



ყველა ქალაქი თვითმყოფადი იერის მატარებელია. თელავი ამ მხრივ გამორჩეული ადგილია. დიდი ისტორიის მქონე ქალაქში კულტურული ესთეტიკა და აურა ყოველთვის იგრძნობა. მიუხედავად ამისა, თელავის მკვიდრთ საუბრისას ხშირად გამოვითქვამს უკმაყოფილება, რომ თელავში ახალგაზრდებისათვის გასართობი ადგილები არ არის და ამიტომ აქაურობა მოსაწყენია... მაგრამ რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ თელავის მეფური სიმშვიდე ვერ ითავსებს ხელოვნურ ხმაურს და თავისივე ბუნებით ახშობს მას.

გარდა იმისა, რომ თელავი სატატო ქალაქია, მას დიდი თეატრალური ისტორიაც აქვს. თელავის თეატრალური დასი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებზე, რაც მისი პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. ახალი სეზონი საინტერესო სიხსენებით გაიხსნა. 7 ნოემბერს თელავმა უმასპინძლა ოპერისა და ბალეტის სახელწიფო თეატრის საბალეტო დასს, რომელმაც წარმოადგინა პიოტრ ჩაიკოვსკის „მეკნატუნა“. ამასთან ერთად, საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თელავს სტუმრობდა ქალაქ ბულოსტოკის (პოლონეთი) ალექსანდრე ვეგერკოს სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი.

ჩემთვის თეატრი არის ძველი თუ ახალი ავტორების აღმოჩენის და ცოცხლად განცდის ერთ-ერთი საშუალება. სწორედ ასეთი გრძობა დამეფულა გრეგორ სუსკის მიერ დადგმული იან კოხანოვსკის „გოდებაანის“ ცქერისას.

ალმანახი „ამერიკერი“ - #1-2; 2021 წელი

დაისტამბა ალმანახ „ამერიკერი“-ს გაერთიანებული 1-2 ნომერი, რომელიც, ტრადიციულად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ეპისტოლეში იხსენება.

პოეტის მარადისობა - ამ რუბრიკით დაბეჭდილია მუხრან მაჭავარიანისა და შოთა ნიშნიანიძის ლექსები.

პოეზიის განყოფილებაში, აგრეთვე, იბეჭდება შემდეგი პოეტების ლექსები: ფარნა რაინა, ერეკლე საღლიანი, ნოზადი ბარათაია, თეიმურაზ ლანჩავა, მანანა ჩიტოვილი, კობა არაბული, რომან ზუკაიშვილი, ნუნუ ძაბუკაშვილი, ფიქრია ყუშიტაშვილი, ცირა შალაშვილი, ზენა ქინქლაძე, ირინა პეტრიაშვილი, ამირან განაძე, ლია გიგითაშვილი (თამარელი), არტურ სულამანიძე, თინათინ თელაველი (მრეღაშვილი), ნუგზარ წერეთელი, ბადრი სულაძე, ირმა ჭაბაშვილი, ქეთევან ათუაშვილი, ანა მანოშვილი, კახაბერ პავლიაშვილი, შოთა ტოგონიძე, სოსო ბერიძე, ქეთი გუგუშაშვილი, ალექსი გოგბერაშვილი, ნელი ზუროშვილი, გიული ჩიხიაშვილი, ზაირა ფრუიძე, ზურაბ მამულაშვილი.

გალაკტიონ ტაბიძის 130-ე წლისთავის აღსანიშნავად „ამერიკერი“ ბეჭდავს პოეტ აკაკი ბიძინაშვილის ვრცელ პოემას - „ტკივილი“, მეფე-პოეტისა და მისი მეუღლის, ოლღას ტრაგიკული ცხოვრებიდან.

ჯემალ დავლიანიძის პოეტურ-პროზაული ნაწარმოები - „პოლიტიკური ცოფი და ფარული შიზოფრენია, (ნიგნიდან „გარდასულ განწყობათა სასაფლაო“), იბეჭდება ახალი რუბრიკით: „რაც პროზამ ვერ დაიტია“...

პროზის განყოფილება წარმოდგენილია ჯემალ მებრიშვილის, მანანა ამირეჯიბის, თეიმურაზ ფანჯიკიძის, ანა ერისთავის, გიორგი ბერძინიშვილის, გივი ჩილენიძის, ანზორ სიფრაშვილის, მარიამ ძაბუკაშვილის, გიორგი შარვაშიძის, იზა მჭედლიშვილის, ზოდეკო ხომასურის, ზურაბ ქობალას, მამუკა ვაშაქიძის, გიორგი თედეთის და ნუნუ ძაბუკაშვილის ნაწარმოებებით.

თელავის თეატრალური ქრონიკიდან

ზოგადადამიანური პრობლემატიკა ყველა დროში აქტუალურია. რეჟისორები ხშირად იყენებენ ადრეული პერიოდის ნაწარმოებებს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ანაყოფად რჩება, წარსული კი - წარსულად. მსახიობი ნინო კასრადე ერთ-ერთ ინტერესულ ამბობს, რომ თელავი სარკეა, რომელშიც არსებული რეალობა ჩანს. გრეგორ სუსკის რეჟისურა ამ მხრივაც საინტერესოა. აქ რენესანსის დროინდელი პოეზია თანამედროვე ადამიანის ტკივილებზე იმდენად მკაფიოდ მიგვანიშნებს, რომ საერთოდ ქრება ზღვარი წარსულსა და აწმყოს შორის. იმდენად ცოცხალია ყველაფერი, რომ ჩნდება განცდა, თითქოს, მოქმედება „აქ და ამჟამად“ ხდება. წარმოდგენის ცქერისას მეც შევიგრძენი თავი მშობლად, რომელიც თავის გარდაცვლილ შვილს დასტეროდა; ადამიანად, რომლის ბედნიერებაც ტრაგედიამ გადაფარა. მიმე განცდების ფონზე ბევრმა კითხვამ გაიღვიძა, რომლებზეც სათანადო პასუხები ვერ მივიღე. მამის მსგავსად მეც დავიკარგე ამ კითხვებში.

ვფიქრობ, აქ და იმჟამად ყველამ განიცადა მამის მდგომარეობა და „დიტირა“ საკუთარი შვილი. ასეთი თანაღმობის ატმოსფერო კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ხელოვნებას შეუძლია ადამიანი მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანოს და მის გაკეთილშობილებაზე იზრუნოს.

სასიხარულოა, რომ თელავის თეატრი, მიუხედავად პანდემიისა, მაინც აქტიურადაა ჩართული სამუშაო პროცესში და სეზონის განმავლობაში არაერთ საინტერესო ღონისძიებას გვიზადებს.

ანა პავუნაშვილი

მწერლის ხურჯინში გადანახული ამბები - ამ რუბრიკით დაბეჭდილია ვაჟა ჩორდელის „ორი პოეტის გახსენება“ - „მურმანი და არჩილი“ და „ნამეტნავი ჭკვიანი გურული“.

მრავალფეროვანია წერილების განყოფილება. ავტორთა ჯგუფი: მწერლები - ჯემალ დავლიანიძე, ანა ერისთავი, ლელა მეტრეველი, ვაჟა ჩორდელი, „ამერიკერი“-ს თანარედაქტორი ოთარ კერვალიშვილი (რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარე), რომინ მეტრეველი (საქ. მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), პაპუნა (პარმენ) მარგველიძე (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორი), რომან კერვალიშვილი (საქ. საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი) ლია წერილი უგზავნიან სრულად საქართველოს ხელისუფლებას რუსთაველის პრემიის ლაურეატის, პოეტ, მურმან ლებანიძის მთაწმინდის პანთეონში გადასვენების საკითხთან დაკავშირებით.


აქვე ოთარ კერვალიშვილი ფრიად საჭირო წერილს უგზავნის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ბატონ ირაკლი ქარსელაძეს; აქვე იბეჭდება კიდევ ორი სტატია რაჭის რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით.

„ამერიკერი“-ს წერილების განყოფილება ამით არ მთავრდება, ნომერში იბეჭდება შემდეგი ავტორები: მურმან ბალსოლიანი, გიორგი წერეთელი, მაცვალა მიქელაძე, გურამ გოგიაშვილი (ფრიად საინტერესო წერილი რუბრიკით - „ქვათა ლაღად გრძელდება“), ნანა რჩულიშვილი, ომარ გოცაძე, ლევან ბრეგაძე, თემურ შავლაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, რომინ ჭიკაძე.

ალმანახის გარეკანის გვერდებზე დაბეჭდილია თბილისის 175-ე საჯარო სკოლის მოსწავლის, მომავალი მხატვრის, 9 წლის დავით ბერიშვილის ნამუშევრები.

„ამერიკერი“ საქვეყნო მადლობას უხდის სრულიად საქართველოს რაჭის რეგიონის განვითარების ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ ოთარ კერვალიშვილს ალმანახის გამოცემაში განუღებელი დახმარებისთვის.

ვაჟა ჩორდელი
„ამერიკერის“ დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი



თამაზ ვასაძე

თანამედროვე ქართული მოთხრობა: ბექსი და სინკაპელი

1. თქვენი აზრით, როგორ აისახება თანამედროვე ქართულ მოთხრობაში დღევანდელი მდგომარეობა, პიროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემები?
2. რა თემებს უნდა მიუძღვნოს ავტორებმა ურადღებამ?
3. როგორ წარმოგიდგებათ ავტორის, როგორც პროზაიკოსის, ინტელექტუალური და მოქალაქეობრივი სახე: მასში ლიტერატურული უფრო მათია თუ ცხოვრებისეული?
4. თქვენი დაკვირვებით, რამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოთხრობაში მწერლის ავტობიოგრაფია?
5. როგორ იხატება თანამედროვე ქართული კრიტიკის სახე, მხატვრული ტიპი?
6. ხელახლა თუ არა შენახავთ თანამედროვე ქართულ მოთხრობასა და ქართულ კლასიკურ (მე-19-მე-20 საუკუნეების) პროზას შორის?
7. რა განსხვავებაა მე-20 საუკუნის მთელი ნაწარმის ქვეტექსტურ სტილსა და დღევანდელ თანამედროვე სტილს შორის?
8. როგორ აზრებთ თხრობის თანამედროვე განვითარებას და სიუჟეტის განვითარების ტექნიკას?
9. გაკმაყოფილებთ პროზის ანა, ანუ ქართული, როგორც ასეთი?
10. რამდენად მოქმედებს პროზაში ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ფაქტორი?
11. თქვენთვის მისჯილია თუ არა მწერლის თანამედროვე დაყოფის ტენდენცია: „ღია ბიუტანტაბი“, „ახალგაზრდა“, „გამოცდილი“, „ცოცხალი კლასიკოსები“ და ასე შემდეგ.
12. სად უფრო ხშირად კითხულობთ მოთხრობას – გაქვეყნებული ლიტერატურულ გამოცემებში, ინტერნეტსა თუ წიგნებში?
13. პოლ დროს ვისი მოთხრობები მოგაწონათ?
14. დასასრულა თანამედროვე (მოქმედი) ქართული პროზაიკოსთა სურათი.

1 დღევანდლობა თანამედროვე ქართულ მოთხრობაში პირდაპირ, უშუალოდ, მკვეთრად აისახება, თუმცა მეტწილად აისახება რეალობის ემპირიული ზედაპირი მისი უსახურების საგანგებო პედალირებით და ეს იოლად გამოსაყენებელ სტანდარტულ მეთოდად იქცა. აშკარაა, რომ სინამდვილის სიმდარის, სიმდაბლის თუნდაც გარეგნულად ზუსტი ასახვა ლიტერატურაში საკმარისი არ არის.

2 ლიტერატურის უნივერსალურ თემას – ადამიანის და სამყაროს რაობას და ურთიერთმიმართებას – ყველა ნიჭიერი მწერალი საკუთარ წახნაგებს უძებნის, რომლებთან შეხებაც ყველაზე მეტი ინტენსივობით იგრძნობა. კონკრეტულ თემებს მწერალს, ცხადია, ვერაფერ უკარნახებს, მაგრამ იმის შესხენება კი ზედმეტი არ ჩანს, რომ ლიტერატურაში ყველაზე საინტერესო ადამიანის სულია, რომელშიც, როგორც ცნობილი გამონათქვამი გვეუბნება, ერთმანეთს ებრძვიან ღმერთი და სატანა.

ერთ კონკრეტულ თემას მაინც დავასახელებ: ვისურვებდი, წამეკითხა ვრცელი ქართული პროზაული ნაწარმოები, რომელშიც გახსნილი იქნებოდა სტალინის ფენომენი, რადგან ეს პიროვნება საქართველომ წარმოშვა და ჩვენი ქვეყნისთვის დღემდე საბედისწერო ფიგურად რჩება. მოსლოდნელია, რომ ამ თემაზე ქართველი მწერლის მიერ დაწერილმა სერიოზულმა და ღრმა ნაწარმოებმა ძლიერი საერთაშორისო რეზონანსიც გამოიწვიოს.

3 ბუნებრივია, მწერლის რესურსს, უპირველესად, ცხოვრებისეული გამოცდილება შეადგენს და მას ლიტერატურული გამოცდილება ავსებს. ამ საწყისების სასურველი თანაფარდობა ჩვენში ხშირად დარღვეულია ლიტერატურული მოდის გამოდევნებით, იმის მოჭარბებით, რასაც ინტერტექსტუალობას უწოდებენ, არსებული ლიტერატურული მოდელების, პარადიგმების, სქემებისგან უსიცოცხლო კონსტრუქციების აგებით.

4 თუ მწერლის ავტობიოგრაფიაში ვიგულისხმებთ სულიერ ავტობიოგრაფიას, სულის ისტორიას, თავგადასავალს, მივალთ დასკვნამდე, რომ მალალი რანგის

ლიტერატურის უმთავრესი რეზერვუარი სწორედ ის არის. ამგვარი ლიტერატურა – ლიად თუ შენიღბულად – ავტორის სულიერ-გონითი არსებობის პერიპეტეიბის და თვითშემეცნების პროცესის ამრეკავია. ეს თანამედროვე ქართველი ნიჭიერი პროზაიკოსების ნაწარმოებებშიც შეიმჩნევა.

5 დღევანდელ პროზაში ქართველის კრებითი სახე ძირითადად წარმოდგენილია, როგორც ყველათი და ყველაფრით უკმაყოფილო, სუსტი, თავგზააბნეული, დემორალიზებული ადამიანის სახე. მთავარი ის არის, მხატვრული ანალიზის რა დონეზეა რეალიზებული იგი.

6 თანამედროვე ქართულ პროზაში შეიძლება შევნიშნოთ მით მიხეილ ჯავახიშვილის ხისტი, დაუნდობელი რეალიზმის, სარკაზმის, მარგინალური ადამიანებისადმი ამ მწერლის დაჟინებული ინტერესის გავლენა.

7 ჩემი აზრით, დღევანდელი პროზა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მოთხრობისგან ქვეტექსტურობის შესუსტებაზე მეტად იმით განსხვავდება, რომ ახლა პროზაში ნაკლები რელიეფურობით იკვეთება პერსონაჟთა სახეები, მრავალფეროვანი ხასიათები, ნაკლები ყურადღება ეთმობა პიროვნების შინაგანი ცხოვრების, ცნობიერების და თვითცნობიერების, განსჯის, რეფლექსიის წარმოჩენას. ეს იმდენად რომანს არ ეხება, რამდენადაც სწორედ მოთხრობას.

8 მე მგონია, რომ თანამედროვე ქართულ პროზაში ზედმეტად არის გაზრდილი თხრობითი ელემენტის წილი ემოციურად და აზრობრივად მრავლისდამტევი და მრავლისმეტყველი სცენების, სურათების კონკრეტიზებული გამოსახვის ხარჯზე, პროზაიკოსის წარმოსახვის ძალა კი ყველაზე უტყუარად ამგვარი სცენების, სურათების ხატვით ვლინდება. თვით თხრობაც მაშინ არის მართლაც საინტერესო, როცა მხოლოდ ამის, სიუჟეტის გაშლას კი არ ემსახურება, არამედ მასში მიმოხეულია პერსონაჟთა ბუნებისა და გარემოს თავისებურებების მკაფიოდ აღმბეჭდველი ხატები.

9 ჩვენში არიან პროზაიკოსები, რომლებიც სათანადოდ ფლობენ ენას და ახერხებენ მისი გამოხატველო-

ბითი ენერჯის ამოქმედებას. ამავე დროს, ხშირია შემთხვევები, როცა ავტორი ფონს გასვლას მხოლოდ სლენგის, ფარგონის, სკაბრეზული მეტყველების მეშვეობით ცდილობს. სხვა საქმეა, როცა ასეთ სტილისტიკას საჭიროებისამებრ და დოზირებულად იშველებს მწერალი, რომელიც ძირითადად ენის სხვა, კულტურულ ფენებს ეყრდნობა.

10 ახალგაზრდა მწერალი უფრო მეტად თავისი თავის, თავისი „მეს“ გამოსახულებებს ქმნის, ის უფრო „ავტოპორტრეტისტია“. ცხოვრებისეული გამოცდილება მას ეხმარება, სხვა, მისგან განსხვავებული, სხვადასხვანაირი ადამიანებიც უფრო ცხადად დაინახოს და გამოსახოს, რეალობის სურათი, რომელსაც ხატავს, გააფართოვოს და გაამრავალფეროვოს.


11 თუ მაინცდამაინც ლიტერატურული თაობების ბლად კონკრეტული შინაარსით უნდა შევავსოთ, თაობები ერთმანეთისგან რაღაც არსებითი კრიტერიუმებით უნდა განვასხვავოთ.

12 მოთხრობებს ბექდურ პერიოდიკაში და ნიგუნებში ვეცნობი.

13 ბოლო დროს ნაკითხული მოთხრობებიდან გამოვარჩევ ალექო შულაძის „სასჯელს“ და „წმინდანის მახეს“ – ადამიანური ვნებათა ლეღვის გამოხატვის მწვევე სიმართლით, ემოციურობაში გაზავებული ანალიტიკურობით, კონცეპტუალური საყრდენების სიმარტით, ავტორისეული ეთიკური მგრძობელობის სიფაქიზით, ფანტაზიის სილალით... ასევე შთამბეჭდავია, არაორდინარულია ალექო შულაძის რომანები „გადაძლივა“ და „ქრონიკული დალილობის სურნელი“.

14 თქვენი ნებართვით, დავასახელებ ხუთზე მეტ თანამედროვე ქართველ პროზაიკოსს: ირაკლი სამსონაძე, ალექო შულაძე, თამაზ მელაშვილი, არჩილ ქიქოძე, შოთა იათაშვილი; დასაანია, რომ იშვიათად იბეჭდებიან ირინა ბაქანიძე, კოტე ჯანდიერი, ირაკლი ქასრაშვილი.

ლიტერატურის სიახლე



ალიარება

სასიხარულო ცნობა მოვიდა ტრაპიზონიდან. მეხუთე ლიტერატურულ ფესტივალზე ტარიელ ხარხელაური უმაღლესი პრიზით – „პოეზიის ცოცხალი ლეგენდის“ ორდენით დაჯილდოვდა.

ტრაპიზონის ლიტერატურულ ფესტივალში 18 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოდან მინვეული იყვნენ პოეტი ტარიელ ხარხელაური და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, გიორგი სოსიაშვილი.

დაჯილდოების ცერემონიას უძღვებოდა ტრაპიზონის მერი მურათ ზორლუოღლუ. ფესტივალს ესწრებოდა ქართველოლოგი, პროფესორი ჰარუნ ჩიმქე.

დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ქართველი სტუმრები ტრაპიზონის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე გამართულ საღამოზე მიიწვიეს.

გატახილი სიტყვა და პრაქსი

ბუკერის პრესტიჟული პრემია წელს სამხრეთაფრიკელმა მწერალმა და დრამატურგმა დეიმონ გელგუტმა (Damon Galgut) მოიპოვა რომანისათვის „დაპირება“.

ეს იყო გელგუტის მესამე ცდა. 2003 და 2010 წლებში შორტ-ლისტში მოხვდა. გაუმართლა რომანმა, რომელშიც სამხრეთაფრიკელ თეთრკანიან ფერმერთა ცხოვრება აქვს აღწერილი.

რომანის მოქმედა მიმდინარეობს აპარტეიდის დასასრულის პერიოდში. მოქმედი პირები არიან მომაკვდავი „თეთრი“ ოჯახის წევრები. ისინი თავიანთ შავკანიან მოახლეს დაპირდებიან, რომ მას მისცემენ მიწას და სახლს აუშენებენ, მაგრამ დაპირებას ვერ ასრულებენ.

დეიმონ გელგუტი დაიბადა 1963 წლის 12 ნოემბერს. ბუკერამდე არაერთი ჯილდო აქვს მოპოვებული. იგი ამ პრემიისთვის ფულადი პრიზის სახით 50 ათას ევროს მიიღებს.



მართლაც რა ერქვამ?

მკითხველებმა იციან, რომ ალექსანდრე დიუმას რომან „სამი მუშკეტერის“ მთავარი გმირის, დ'არ-



ტანიანის პროტოტიპია გასკონელი აზნაური სარლ ოჟიე დე ბაც დე კასტელმორი.

როგორც ირკვევა, არც დანარჩენი გმირები არიან გამოგონილი.

არამისის პროტოტიპი ყოფილა არამიცის საბატოს წარმომადგენელი ანრი დ'არამიცი, რომლის წინაპრებს ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში რგებიათ ეს საბატო;

პორთოსის პროტოტიპი ჰუგენოტების ოჯახიდან იყო, სახელად ისააკ დე პორტო;

ათოსი ოთხეულიდან ყველაზე უფროსია. პირველ რომანში ის უკვე 30 წლისაა. სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ლიტერატურულ ასაკამდე ვერ მიაღწია, რადგან არმან დე სილეგ და ათოს დ'ოტვილი 28 წლისა მოკლეს დუელში.

ისიც ცნობილია, რომ რომანის პერსონაჟებს სხვა სახელებიც აქვთ: არამისის ჰქვია რენე, ათოსს – ოლივიე, დ'არტანიანს – ნათანიელი, ოლონდ ეს მხოლოდ ალექსანდრე დიუმას შავ სამუშაო ფურცლებში.

პირველი გვერდიდან



გიორგი აფთხიაშვილის სახელისწილობრივი გზავნილები და ქრისტეს მისჯარია

სინათლის შუქზე გამოიკვეთა ორი სამყარო-ორი მიმართულება, რომელთა შორის პიროვნების სულიერი გზა აღსრულდება.

თუ ცის პარამონია და მისი წესრიგი მინიერ სამყაროს – სახელმწიფოს განკარგავს და ზნეობის კანონს უწესებს, პიროვნება ვალდებულია, ამ ცის კარნახით მუდამყამს იბრძოლოს თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის. და მის წინაშე გამოისახა მომავალი რომანის პერსონაჟი – გორა მბორგალი – ქართველი ერის მისტიკური ორგანიზმი თუ როგორ გამოფარფატიდა ღრუბლიდან მოვერცხლისფრო, ვეება, კეთილი, ლამაზი ფრინველის სახით და როგორ თავგამოდებით გამოუდგა ვერცხლისფერ მთვარეს – ღმერთის სახებას. იხილა, ასევე, სხვა რომანის პერსონაჟი – დათა თუთაშხია – ქართველი ერის კრებითი სული, ზეცაში, იესო ქრისტეს ხელმარჯვნივ მჯდომარე.

მაგრამ მის გვირგვინს, როგორც თავად ავტორს, ამ პერიოდში არ გაუმართლათ. მათ მიწიერ სამყაროს, მათ სახელმწიფოს (საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი) არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა ზეცასთან. ამის ნიშნად დათა თუთაშხია სისტემიდან გადის და გააბრაგდება, ხოლო გორა მბორგალი ცდილობს, გულაგის ბანაკიდან გამოიქცეს და მისი ექვსჯერ გაქცევის მცდელობა ახალი „სკოლა“, ბავშვობაში ლათინურ ენაზე რომ დაასწავლეს – „motus animi continuus“ – „სულის განუწყვეტელი მოძრაობა“. გაქცევისას – ამ საშობ, მძაფრ განსაცდელში მოულოდნელად სადღაც კარი გაიხსნა და დაფარული განცხადდა. სულიერი დაბადების „აქტი“ სიცოცხლის არსია და მხოლოდ და მხოლოდ ამ დროს აქვს ადამიანს მესხიერება.

რა უცნაური ამბები არ მომისმენია შთაგონების შესახებ: სოკრატე თოვლში საათობით ფეხშიშველი იდგა და ასე ჩაესმოდა თავისი დაიმონის ხმა – და ასე „ქმნიდა“ დაუნერვლ ფილოსოფიას; ფრანც კავკას

გადმოცემით, ჰაიდნი აუცილებლად შეპუდრულ პარისს დაიდებდა თავზე. ეს, სავარაუდოდ, მისთვის სამყაროში გარბენის ერთგვარი რიტუალი იყო, რათა მისი ჰარმონიული ხმები მოესმინა; ჭაბუა ამირეჯიბი კი სწორედ თავისუფლებისათვის ბრძოლისას, – 35 გრადუს თოვლში, იმ მდგომარეობაში, რომელშიც ერთ წამით შეჩერება-შეყოვნება გაყინვას, უეჭველ სიკვდილს მოასწავებს, ის ჭვრეტდა თავის გვირგვინს. ასე ჩაისახა მასში „შლეგური“ იდეა იაგორ კარგარეთელის უკვდავი და წარუვალი სულის თავგადასავლისა – თუ როგორ ჩადის ის ქვესკნელში, როგორ იძირება საკუთარ თავში, თავის ისტორიაში – საბჭოეთის ჯოჯოხეთში, რათა გააცნობიეროს თავისი თავი და თავისი როლი ამ ისტორიაში. ასე ჩაიფიქრა ხელდასმულის ექვსი პერსონაჟი – ზმანება. ამათგან ერთ-ერთია თანამედროვე ეპოქით შთაგონებული, მოდერნიზებული ჯვარცმის მთავარი ინსტრუმენტი – რელსები; პურგის ხმის მოსმენისას კი ეს არაორდინარული ფრაზები ჩაებტება:

– „ჩვენ მარტო არ ვართ! მე და შენ ერთად მივდივართ: ორნი, გორა და გორა!“

ზიგმუნდ ფროიდის მიმდევარი კრიტიკოსები დოსტოევსკის ავტობიოგრაფიულ მომენტს ამოკითხავენ ივანე კარამაზოვისგან მამის მკვლელობაში – ცნობილია, რომ მწერლის მამა ოჯახში ტირანი იყო და ის მოკლეს გაურკვეველ ვითარებაში (ლინჩის წესით) უნლოვანი ბავშვის პატივის ახდისთვის. ამბობენ, ამ ამბის გაგებისთანავე დოსტოევსკის ეპილეფსიის პირველი შეტევა განუვითარდა. გენიალური რუსი მწერალი მთელი ცხოვრება იტანჯებოდა მამის უღირსი საქციელის გამო იმასაც კი ამბობენ, რომ ეს ცხოველი სინდისის ქენჯნა და ტკივილი საფუძვლად დაედო მის შემოქმედებას.

სრულიად განსხვავებულია ჭაბუა ამირეჯიბის ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები – მისი გარემო, მუდამ ღირსების, სიყვარულის, პატივისცემის სიმაღლეზე იდგა. მას ბედისწერა საშინელ გზავნილებს უმზდებს – მამის, ადვოკატ ირაკლი ამირეჯიბის, საზოგადო მოღვაწის, პოეტ შალვა ამირეჯიბის და დედამისის – პედაგოგ მარიამ ნაკაშიძის სახით, რომელთაგან პირველ ორს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი დახვრეტს, ხოლო ამ უკანასკნელს კი ათი წლით გადასახლება. ალბათ, ამ მიზეზითაა, რომ მასთან სიკეთისა და ბოროტების ურთიერთბრძოლა უმთავრესად აისახება, როგორც პიროვნების შეურიგებელი ბრძოლა წყობასთან, კერძოდ, საბჭოეთის წყობასთან. ცხოვრების მკაცრმა გაკვეთილმა და ასე დაულალავმა სულიერმა „ზრდამ“, ნიკოლაი ბერდიაევისა და ფიოდორ დოსტოევსკის დარად, იმ აზრამდე მიიყვანა, რომ სოციალიზმის არსი შეიძლება განიმარტოს, როგორც ბრძოლა ქრისტესა და ანტიქრისტეს შორის, რომელშიც ანტიქრისტე არა მარტო დროებით გამარჯვებული აღმოჩნდება, არამედ ის სოციალიზმის სახელით მიწიერ სამყაროში დააფუძნებს იმ სამ ცთუნებას, რომელზედაც ოდესღაც იესო ქრისტემ უდაბნოში უარი განაცხადა. ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხიაში“ ამის ისეთი ღრმა გააზრება და მხატვრული დამაჯერებლობა ჩადო სეთურის წრეში, რომ მკითხველი მას დღესაც ციტირებს.

ხშირად მიფიქრია, რომ ის ამ მხრივაც არის გამორჩეული. მისი საქმე და აზრი მუდამ თანხვედრაში იყო. ამაში მას თავისი გულწრფელობა და გაუტყებელი სული მიუძღვებოდა. ამხელა მასშტაბის, ასეთი რანგის მწერალი ხომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ხშირად მის მოსაზრებებს იზიარებდნენ და, ასევე, ხშირად არ იზიარებდნენ. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში მისი მკითხველისათვის იყო მისი გულწრფელობა, ღიაობა, სიმამაცე, საჯაროდ, დაუფარავად გამოეთქვა თავისი შეხედულებები.

ცხადია, ასეთი არაორდინარულად, ღრმად მოაზროვნე – მარტოსული კაცისთვის

(ხელოვანი ხომ გათოშილი მარტოობის სიცივეში დაუნდობელ, ასკეტურ განმხოლოებაში თავის ტრაგედიას – მსხვერპლშენიერის რიტუალს აღასრულებს) ურთულესი იქნებოდა, მიედო ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება. მაგრამ მის „კრედიტი“ მთავარი „საშენი“ „უფრედი“, რგოლი ხომ ოჯახია. და საზოგადოების წინაშე ვალდებულბამ რამდენჯერმე გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. გულაგის ბანაკიდან მორიგი გაქცევისას რამდენიმე წელი სხვისი სახელითა და პასპორტით თავს აფარებს ჯერ რუსეთის ერთ-ერთ ქალაქს, თუმცა მანამდე საქართველოში უკვე ჰყავს უმშვენიერესი მანანა, რომელიც მოგვიანებით შესანიშნავ მწერლად ჩამოყალიბდა, შემდეგ ბელორუსიაში გადადის. იქ ცოლს ირთავს და იბადება ქალიშვილი ლეილა, მომავალი ადვოკატი. აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ მისმა პრაქტიკულმა გონებამ შეძლო, მუშის საქმიანობიდან ხე-ტყის ქარხნის დირექტორობისთვის მიეღწია. და არც იმაზე, რომ ამ პერიოდში იკვეთება რომან „დათა თუთაშხიას“ ტექსტის უმრავლესი მონახაზი. კერძოდ, ის დაუფინყარი, ძვირფასი სიტყვები, ხის სიკვდილის შესახებ რომ დაიწერა: „მეხვიით გაიღებს ტყაცანს, თითქოს ხერხემალში გადატყდოდ. ზეზეა ჯერ კიდევ, ერთს შემოტრიალდება ადგილზე და მერე გადაქანდება დასანოლად. მიდის და ლუნავს ყველაფერს, რაც დახვდება გზა-გზა. ფოთლის ქმინავს: ტოტებს ლინჩ-ლინჩი გავა – იმტვრევა ტოტები და იმტვრე. ისეთი ხმა გამოდის, ამირანი რომ კვებოდეს და სიკვდილის წინ ამოიხროს... და მიწ-უმდება ყველაფერი – დაყვრუფდო, იფიქრებ“ („დათა თუთაშხია“).

არა, აქ საუბარია მის მოთმინებაზე, თავის ფლობის გასაოცარ უნარზე. ამდენი წლის განმავლობაში ცხოვრობს ქალთან და არა და არ გაენდო (ცხადია, ამას აკეთებს ისევე ცოლის უსაფრთხოებისთვის). განსაცდელი კი მაშინ მოვიდა, როცა სახელმწიფომ გადაწყვიტა მისი დაჯილდოება, რასაც მოჰყვა მისი საბუთების ხელახალი შემოწმება, გაოგნებული ცოლის თვალწინ მისი დაპატიმრება და გულაგის ბანაკში გადაყვანა. ასეთი ამბები მისი დაუდგრო-მელი, ხიფათით სავსე გულაგის ბანაკიდან გაქცევის პერიოდს ემთხვევა. მაგრამ თქვეს-მეტი წლის შემდეგ მის გათავისუფლებულ, ნანამებ და ნატანჯ სულში მოულოდნელად ისევ დიდი სიყვარული და ბედნიერება იფეთქებს და უკვე ოთხი შვილის მამას – მანანას და ლეილას უკვე ჰყავთ ორი ძმა: ლაშა – მომავალი მოქანდაკე და ირაკლი, რომელიც გმირულად დაიღუპა აფხაზეთის კონფლიქტისას. მოჰყავს თავისი ოცნების ქალიშვილი – პოეტი, სათნო ბუნებისა და უაღრესად განათლებული თამარ ჯავახიშვილი. აქედან იწყება იმის განხორციელება, რაც ასე მტკიცედ გაითავისა გულაგის ბანაკში-ენერგის უდანაკარგოდ ცხოვრება: „იმ კაცებმა საკუთარი სიცოცხლის წრე შეჭრეს, თავის არსებობას დასრულებული სახე მისცეს...“ („დათა თუთაშხია“). დიდი შემოქმედებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა ოჯახური მყუდროება, ჰარმონიაში, ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულში თანაცხოვრება. მისმა მეუღლემ – თამარ ჯავახიშვილმა (ფაქტობრივად, მან უარი თქვა პოეტის მძიმე მონოდებაზე), თავი მთლიანად მიუძღვნა ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებას. ამ დროს დაიბადა მათი ორი ვაჟიშვილი – ქუცნა და შალვა. შეიქმნა მკაცრი განრიგი – შემოქმედების და სტუმრების მიღების ზუსტად გათვლილი საათები, რომელსაც არეგულირებდა ჭაბუას ძვირფასი მეუღლე. სწორედ ასეთმა თანადგომამ შეუნყო ხელი მწერალს, შეექმნა ისეთი გენიალური ქმნილებები, როგორიცაა „დათა თუთაშხია“, ურთულესი კომპოზიციით აგებული „გორა მბორგალი“ თუ „გიორგი ბრწყინვალე“, არაერთი რეცენზია, იგავ-არაკი, ზღაპრები, მოთხრობები თუ ეპისტოლური ნაწერები.

ამ პერიოდში მის სახლში სტუმრების ვიზიტები არა და არ წყდება (აღსანიშნავია ერთი უცნაურობა – სტუმრის გაოცებას

სახლვარი არ ჰქონდა, რადგან ის ლიფტის კაბინიდან (მე-9 სართული) არა შექმნიდა რთვ გორც ეს წესი და რიგობა, არამედ პირდაპირ ჭაბუა ამირეჯიბის სახლში ხელმძღვანელ რატ იმასაც ნიშნავდა, რომ ნებისმიერ ადამიანს დაუბრკოლებლად შეეძლო მის სახლში შეღწევა). აუცილებლად უნდა აღვნიშნო გულაგის ბანაკის ოცამდე პატიმარ-მეგობარი, რომელნიც ყოველ 18 ნოემბერს ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების დღეს იკრიბებოდნენ მასთან. სტუმრების სრული სიის ჩამოთვლას, მათი სიმრავლის გამო, აზრი არა აქვს და ამიტომ მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ: იტალიური კინოს დიდება, სცენარისტი, პოეტი და მხატვარი რეჟისორი ანდრე ტარკოვსკი და მისი მამა, პოეტი არსენი ტარკოვსკი; ბელა ახმადუღინა, მიხეილ ულიანოვი, აკადემიკოსი ბრუნო პონტეკორვო, ბორის მესერერი, ანდრეი ვოზნესენსკი, ევგენი ევტუშენკო, ბულატ ოკუჯავა, ჯუმა ახუბა, ჯუნა დავითაშვილი, შვედი გამომცემელი ბირგიტა გედინი, ზურაბ კაკაბაძე და სხვანი და სხვანი.


რაც შეეხება ქართული ელიტის წარმო-მადგენლებს, ისინი არა მარტო პატივისცემითა და უდიდესი სიყვარულით მეგობრობდნენ მასთან, არამედ რაღაც პიეტეტითაც კი ჰქონდათ მის მიმართ. მასხედება პოეტ მურმან ლებანიძის სტუმრობა „განახლებული ივერიის“ რედაქციაში. თვალებს არ ვუყურებდი – მურმან ლებანიძე მას მაჯებსა და ხელებს უკოცნიდა, ისე, როგორც ეკლესიაში მრევლის წევრები სასულიერო პირებს, და მხრებს, როცა ისინი ერთიმეორეს ქრისტესმირ ძმობას უდასტურებენ. ამიტომაცაა მისი საოჯახო ფოტოალბომი მეგობრობის და სიყვარულის ფასდაუდებელი ნაშებით ასე მდიდარი. ერთ-ერთი უნიკალურია მისი ძვირფასი მეგობრის, მსახიობის, მწერლის, ქართული პოეზიისა და ახალი აღთქმის კითხვის დიდოსტატთან გადაღებული ფოტო: ჭაბუა ამირეჯიბი გულმკერდზე ამოსვირინებული წმ. გიორგის ხატი, რომელსაც გულწრფელად შეჰხარის გოგი ხარაბაძე...

ალბათ, გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ მწერლის შედევრი წინადაწინ-ვე, ავტორის ჩანაწერების, მისი შთაგონების თანხვედრით იძენს საბოლოო ფორმას. ამის უარსაყოფად მდიდარი ფაქტობრივი დოკუმენტაცია მოგვეპოვება გამოჩენილი მწერლებისა თუ პოეტების სახლ-მუზეუმებში თუ საარქივო მასალებში, რაც დაგვიდასტურებს, რომ ავტორი – ეს, უპირველეს ყოვლისა, კრიტიკოსია, ის, ვინც მწერლის დაულალავი ალტერ ეგოა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ, თუმცა ფართო იყო ჭაბუა ამირეჯიბის ინტერესის სფერო, დაწყებული ძველი ინდური რელიგიური ტექსტებით: რიგვედა თუ უპანიშადები, მიშელ მონტენის „ცდების“ სამტიმული, კონფუციუსის, ლაო-ძის ნაწერები.

გადმოცემით ისიც ცნობილია, რომ შინ მოწვეულმა ფილოსოფიის მასწავლებელმა (გვარი ცნობილი არაა) შესანავლა ფილოსოფია, აქედან კი საფუძვლიანად გაიცნო ურთიერთმორიგებელი ორი ფილოსოფოსი: ნიცშე და შვეელი. ხშირად კითხულობდა პლატონის ფილოსოფიას; ასევე კარგად გაეცნო როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ავტორებს. ცნობილია მისი დიდი სიყვარული ონორე დე ბალზაკისა და ერნესტ ჰემინგუეისადმი. შტუდირება გაუკეთა ეგზისტენციალისტების, აბსურდის წარმომადგენელთა მოსაზრებებს, მაგრამ ყოველთვის ხაზგასმას აკეთებდა იმაზე, რომ მისი ცოდნის საფუძვლად, მისი მსოფლმხედველობის საძირკვლად რჩებოდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, ხოლო მუსიკაში კლასიკურ მუსიკასა და ჯაზზე მაღლა აყენებდა ქართულ ხალხურ სიმღერას და ეს იმ გაგებით, რომ სწორედ ეს უკანასკნელი მიაჩნდა თავისი ბედის გზავნილად, რომელშიც იდო ქართველი ერის ენიგმა.

►► დასასრული იქნება



ზურაბ თორია

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თეო ლატვიის დედაქალაქ რიგას XVI საუკუნის სახელგანთქმულ ლუთერანულ საკათედრო ტაძარში ბახის ღვთაებრივი საორღანო მესას მოსმენის შემდეგ ქალაქის ხედების დასათვალისწინებლად ამავდ ტაძრის სამრეკლოს ლიფტთან გერმანელი ტურისტების ხმაურთან ერთად დაიწყო მისი მოგონებები. სამრეკლოს პლატფორმა იმდენად მცირე ფართობისა აღმოჩნდა, ტურისტთა ნაკადი მოსაბეზრებელი ტაბათი მიიწვედა წინ და თეო სასტუმროში დაბრუნება განიზრახა, მაგრამ რაღაც ძალა ადგილიდან ფეხის მოცვლას არ ანებებდა.

როგორც იქნა, ტურისტების რიცხვი შემცირდა და თეო დამთვალეობით უკანასკნელ ჯგუფთან ერთად ააღწია სამრეკლოს პლატფორმამდე, რომელიც იმ დროს ქალაქის უმაღლეს ნერტივად ყოფილა მიჩნეული.

თეო ქალაქს თვალს რომ მოავლო, ძალაუნებურად უკან დაიხია. ასე ეგონა, მდინარე დაუგავას, მისთვის უცნობ უკიდვანო არხებსა და ბალტიის ზღვას შორის ჩანჩქილი ქალაქი წყალში იძირებოდა და ამ შთაბეჭდილებას მის წინ განფენილ უზარმაზარ სივრცეში თუნდაც ოდნავ შემალბებული ბუნებრივი ბორცვის ან გორაკის არარსებობა ქმნიდა.

თეო შემფოთებულ მზერას აყოლებდა არტ-ნუვოს (გერმანული) არქიტექტურის სტილით ნაგებ ნონოლასახურავიან, ქარში სხარტად მოფრიალე ფლუგერებიან კოლორიტულ შენობებს, მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩებს, ზედმინევიანი წესრიგითა და სიზუსტით მოკონსტრუქციულ გზატკეცილებს, ტროტუარებსა და ლამის უნაპირო მდინარეებზე გადებულ გვირგვინის მსგავს მოაჯირებიან ხიდებს. ქალაქის იერი სიძველისა და შენების მაღალი კულტურით იყო აღბეჭდილი, მაგრამ, მის კონტურებს თანდათან თვალს რომ შეაჩვიო, მშობლიურ მხარეს შეადარა და გაუღევა, რომ ამ მკაცრსა და ერთფეროვან გარემოში მუდმივად ყოფნას ვერაფრით შეძლებდა.

როცა საღამოს ბინდებულდი ათიათასობით ნათურამ გაანათა, უფრო ნათლად იგრძნო მშობლიური რელიეფის უპირატესობა რიგის ლამის ზღვის დონესთან გათანაბრებულ დაბლობთან და ქალაქის იერსახით განხილულს, ის იყო, ლიფტისკენ ნაბიჯი უნდა გადაეღვა, რომ საპირისპირო კუთხიდან ახალგაზრდული, ბოხი ხმით ვილაციის კითხვა შემოესმა:

– Случайно вы не грузин?!

თეო შეეყოვნა, ირგვლივ მიმოიხედა და, როცა პლატფორმის მოაჯირთან თავის გარდა სხვა ვერაფერს აღმოაჩინა, მიხედა, რომ კითხვა მისი მისამართით იყო დასმული და დადარაჯდა, რადგან გაფრთხილებული იყო და რამდენიმეჯერ გადაეყარა კიდევ შენიღბულ ქართველ გამომძაღველებს, რომლებიც ვითომ გაქურდულები შინ დასაბრუნებელი თანხის თავმოყრას ცდილობდნენ ან სხვა არარსებულ მიზეზს ასახელებდნენ და გულაჩუყებულ თანამემამულეთაგან ზოგჯერ სოლიდური თანხის მიღებასაც ახერხებდნენ. მაგრამ მას არც რა ჰქონდა გასაცემი, რამდენიმე თვე ხელმომჭირნედ უნდა ეცხოვრა, რომ ამ ქვეყანაში მისი გამომგზავრების კატეგორიული მონინააღმდეგე მშობლების სარჩელი არ გამხდარიყო.

– Допустим, а кто вы будете? – ჰკითხა თეომ მალალ, მკვიდრად ჩასხმულსა და კონტად შემოსილ ოდნავ ქერა ახალგაზრდა კაცს.

– ბესლან შარვაშიძე გახლავარ, ჩემი დაა აქ გათხოვილი და მესამე წელია, მასთან ვიმყოფები, – უნაკლო ქართულით უპასუხა და ხელი გამოუწოდა.

– თეოდორე, ანუ თეო თორელი, – მიუგო და მარჯვენა გაუწოდა თეომ.

– ჩემი არ იყოს, აქ თორელს რომ გადაეყვებოდით, ვერაფრით წარმოვიდგენდი, – მიუგო ბესლანმა და თეო თავით ფეხამდე შეათვალეირა. – ესე იგი, თქვენ ჯავახი თორელების შთამომავალი ბრძანდებით?

– დიახ, მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში ჯავახეთიდან სამურზაყანოში დევნილთა, რომელთაც დროთა ვითარებაში გვარი ადგილობრივ კილოზე გადაუკეთებიათ და მე ერთადერთი ვარ, ვინაც ჩემი წინაპრების გვარის აღსადგენად ვირჯები.

– იქ სად სახლობთ? – იკითხა ბესლანმა.

– გალში.

– რა დამთხვევაა, გალში ბებიაჩემის ნათესავი ანჯაფაძეები სახლობენ, – თქვა და მისწივ ჩამოუთვალა გალელ ანჯაფაძეთა სახელები.

ერთი მათგანი თეოს ახლობელი ქალბატონი აღმოჩნდა.

ნარსულს მკვლელები

აონაიდი დაუბთავრებელი როგორღა

მისი მშობლიური სახლის პირდაპირ, ხეხილით დაყურსული ეზოს სიღრმეში ფართოაინიანი, ტინის ძეკვენებზე შემდგარი, ქართული კრამიტით დახურული ოდა სახლი იდგა, რომლის წინა ფასადს ვაზის ლერწის-გრებილებიანი ნაბლის ორმაგი კარ-ფანჯრები ამშვენდა, გარეთა კარ-ფანჯრები შემინული გახლდათ და უცხო თვალს მეზობელთა სახლების კარ-ფანჯრების ფონზე სრულიად ზედმეტ ატრიბუტად ეჩვენებოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, შიგნითა მკვიდრად შეკრული ყრუ კარ-ფანჯრები ძნელბედობისას მომხდურთაგან თავდასაცავად იყო გათვალისწინებული. საჭიროების შემთხვევაში, გარეთა კარ-ფანჯრები იღებოდა, ოთახები ნივთებოდა და მთელი დღე ბუნებრივი განათება არ აკლდა. სახლი, ერთი შეხედვით, სადა ჩანდა, მაგრამ, ყურადღებით თუ დააკვირდებოდი, იგრძნობდი, რომ, აივნის ჭერი იქნებოდა ეს თუ მოაჯირი და რიკულეები, ხელოსნებს ხეზე კეთის მაღალსტატობა არ დაეკლათ.

ბიჭუნას, მშობლების წინააღმდეგობის მოუხედავად, გული ამ იდუმალბეობით მოცული მყუდრო საგანისკენ მიუწევდა. მოხუც ცოლქმარს სიამოვნებდა მისი სტუმრობა, რაც უნდა მოუცლები ყოფილიყვნენ, ზაფხულობით აივნის ბოლოში მიდგმულ ბორჯღალებთან ხის ტახტზე საპატიო სტუმარივით დასვაამდნენ, ცნობისმოყვარედ მიაჩერდებოდნენ და უსმენდნენ მის ბავშვურ, გულუბრყვილო ტიტინს. მერე საუბარში თავდაცვ ჩაერთვებოდნენ, მოუწყებოდნენ მითაუმიანდელ ზღაპრებსა თუ თქმულებებს, ხილითა და სასუსნავეებით გაუმასპინძლებოდნენ, შეღამებულზე კი ჭიშკრამდე მიაცილებდნენ, შინშესულის კვალს დიდხანს გასცქეროდნენ და, მორიგი სტუმრობისას ბიჭისთვის რით ეამბიზნათ, იმაზე მსჯელობდნენ.

ზამთრობით უზარმაზარ, მაღალჭერიან სასტუმრო დარბაზში, რომლის ჭერი იმდენად ოსტატურად იყო მოჩუქურთმებული, ძვირფას ფარდას მოგაგონებდათ და ბიჭში სანუკვარ ოცნებებსა და მისწრაფებებს აღძრავდა, მოგუზგუზებ, ფართო ბუხარს უსხდნენ. კაფანდარა, ხანდაზმული ქალბატონი, რომელსაც უცნაური სახელი – ბუღლა ერქვა, მათ შორიხლოს დაფარვატებდა, ხან ტკბილისკვერებს, ხან მოხალულ თხილსა თუ ჩურჩხელებს აწვდიდათ, მერე უთავბოლო ფორიატით არაქათგაცლილი მათ შორის ბზის გრეხილფეხებიან საკარცხულზე დაბრძანდებოდა და ყურადღებით უგდებდათ ყურს, ათასში ერთხელ სიტყვასაც შეანეცდათ და, ადვილმავთ, თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით? (რუს.)

მისი ნაუბარი იმდენად შთამბეჭდავი იყო, ბიჭს სამუდამოდ ამახსოვრდებოდა.

ბუღლას მეუღლეს ლადი, ანუ ვლადიმიერი ერქვა, მაგრამ მას თავისი სახელი ბიჭის თანდასწრებით სრულად არასოდეს უხსენებია. ზრდასრულ თეოს ერთხელ გამოუტყდა, მაგ სახელს რუსთა მპყრობელური ბუნების გამო ვერ ვიტან, ჩვენ რა უბედურებები და ტრაგედიებიც დაგვატყდა, ყველაფერი მათ მოგვინისო და, სიტყვა რომ დაასრულა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო. ფრთხილად მიმოიხედა.

მისი სიფრთხილე საფუძველს როდი იყო მოკლებული. მოხუცი საბედიაწოს ცნობილ სასულიერო პირთა შთამომავალი გახლდათ და ვინ იცის, მის თავზე რა რისხვის ბორბალი არ დაატრიალებულა.

ღადი, ბუღლასგან განსხვავებით, ტანბრგე, საკმაოდ სახიერი, თმაჭალარა მოხუცი გახლდათ. ერთხელ მასთან მარტოდ დარჩენილ თეოს, ასეთი შეუხედავი ქალი რამ შეგართვევინათ, წამოსცდა. ლადის მის ბავშვურად გულუბრყვილო ნათქვამზე ლმობიერად გაეღიმა, მერე ტუჩზე საჩვენებელი თითი მიიღო, კარს გახედა და ხმადაბლა უთხრა, ტანმორჩილი იყო, თორემ ყმანვილქალობაში სილამაზით სახელგანთქმულ სალომე ანრაბაძესა და ელენე დადიანს არაფრით ჩამოუვარდებოდათ. თეოს სმენოდა მათი საარაკო



სილამაზის ამბავი და ისიც, ოდიშელი და სამურზაყანოელი ნარჩევი ვაჟაკები მათ გამო ერთმანეთს როგორ ექიშებოდნენ...

მიუხედავად იმისა, რომ ლადის სიტყვებს დამაჯერებლობა არ აკლდა ბიჭი ეჭვით უყურებდა სახედანაოჭებულ, ერთთავად ფართუნა ხალათითა და თავზე დაკოსებული ბერეტით მოფარვატი კაფანდარა მოხუცს, რომელიც მეზობელი ქალებისგან საუბრის მანერითა და თავდაჭერილობით კი გამოირჩეოდა, მაგრამ მშვენიერების არაფერი ეცხო.

ღადიმ არ დაეყოვნა და, როგორც კი მეუღლე ეზოში დაიგულა, მისი ეჭვების გასაქარებლად, მეოცე საუკუნის დამდეგის შავ-თეთრი ფოტოსურათი გამოუჩინა.

სამ მომხიზლავ ქალიშვილს შორის შუაში მდგარ ჰაეროვან, თვალწარმტაცი გარეგნობის ქერთიან ფერიაზე, ეს ოცი წლის ბუღლაო, მიუთითა, შემდეგ დაამატა, ისეთი მომხიზლავი იყო, თავიდან მიახლოებას ვერ ვბედავდი, რადგან მე უბრალო ჩამომავლობის დეკანოზის შვილი ვიყავი, ის ბრწყინვალე თავდადის ასული, სილამაზით, განათლებითა თუ ელევანტურობით ყველა თანატოლს ჩრდილავდა, მე კი გამხდარი, უგერგილო; შუაზე გაყოფილი თმის ერთი ნაწილი ჭაღარა მქონდა, მეორე კი ნაბლისფერი და ეს ნაკლი ხშირად დაცინვისა და განხილვის საგანი ხდებოდა, მაგრამ ტოლებს შორის მუყაითობითა და მიზანსწრაფულობით გამოვიჩნეოდი და პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტიპენდიანტი გავხდი. მხოლოდ ეს უპირატესობა მქონდა მეტოქეებთან შედარებით. დღესაც ვერ გამოგია, რა მოსწონდა ბუღლას ჩემი, მამამისი ძველი ყაიდის თავადთა რიცხვის მიეკუთვნებოდა და ჩვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო – ამ უაზნო, უმწო ყმანვილს ჩემი მზეთუნახავი შვილი

როგორ უნდა გავატანო, დაიჩქმა. რა აკრძალვის ზომას არ მიმართავ, რა არ მთმინოქმედა, ბუღლას საჩაღარო მდგომარეობით შემფოთებულ ნათესაობას კი განვიტოლა მაგრამ, როცა უნდა შევხველი, ლადის თუ არ გამაყოლებთ, მონასტერში გადავიხვეწებო, დაემუქრა, გარეგნულად ამ უნახეს, მეოცნებე ქალიშვილში ჩაკირულმა უდრეკმა ნებისყოფამ დაათმობინა.

ბიჭს გაცოცებისგან ლადის მეტყველება წაერთვა და ჯერ კიდევ უასაკო ყმანვილი ბუნების ჭირვეულობებზე დააფიქრა. ეს გრძნობა ლადის სიტყვებში: „ნეტა, ვიცოდე, საიდან მოდის სილამაზე და დრო-უამში სად ქრება...“ – უფრო განუმტკიცა და ერთხანს მისი გულჩათნობილობის მიზეზადაც კი იქცა.

როგორც მაშინ ლადიმ დაამუნათა, იმ ფოტოსურათისა და მათი სიყვარულის შესახებ არასოდეს არავისთან წამოსცდენია, მაგრამ უკვე, ალბათ, ძალიან ცოტას თუ ახსოვს მოხუცების არსებობა და ამ ჩუმ, სიყვარულითა და სიმშვიდით აღსავსე, კოლორიტულ პიროვნებათა ამბავი ფართო საზოგადოებამ თუ არა, მეზობლებმა მაინც უნდა იცოდნენ, რომლებიც აკვირებოდათ გამო მათ კარ-მიდამოს შორიდან უვლიდნენ და ბიჭის მშობლებს კილაფდნენ, თავიანთ პირმშოს ამ მიხრწნილ მოხუცებთან სიარულს რატომ არ უშლიანო.

მათ არ იცოდნენ, რომ მშობლები კარგა ხანს ცდილობდნენ მოხუცებთან თეოს ხშირი სტუმრობისთვის ზღვარის დადებას, თუმცა, როცა შეატყვეს, რომ მათთან ურთიერთობა ბიჭზე დადებითად მოქმედებდა, თავი ანებეს. ამგვარად, თეომ სრულიად მცირე ასაკში მოიპოვა დამოუკიდებლობა, რაც მაშინ მისთვის რთული აღსაქმელი გახლდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩასწავდა თუ რა ბედნიერებას სწევია და, ყოველთვის თუ არა, ურთულეს მომენტებში გამოსდგომია ეს გამოცდილება.

მეზობელთა მხრიდან მოხუცების განაპირების მთავარი მიზეზი გახლდათ ამბავი თუ ლეგენდა ბუღლას გულზვიადი ბაბუის შესახებ, რომელსაც იმდენად თარის მზერა ჰქონია, სანამ დღითი სანოლის გვერდით მდგარ „სეკრეტის“ უჯრაში საგანგებოდ შენახულ ბრტყელ ფირუზისფერ ქვას არ დახედავდა და არ ილოცებდა, მანამდე არ გავიდოდა ჯალბათან. ამბობდნენ, ამ რიტუალის უნებურად შეუსრულებლობის გამო, მის ახლობლებს რამდენჯერ ავი სნება შეპყრიათო...

იმასაც ჰყვებოდნენ, ერთხელ შარვაშიძეთა სამთავროს აბუჟას შტოს ჭაბუკმა მემკვიდრემ – ნიაზმა როგორ ჩაიარა მისი მამულის შორიხლოს, თავთხელზე გადაიჯირითა მრვალრიცხოვან ამაღასთან ერთად ენგური, ღურუბია შარვაშიძესთან, კოკში კვთარები მოინადირა, ჭკადუაში დედის ძმისნულ დადიანებს ესტუმრა, კახათში ძიძვილებიც მოისიყვარულა, ხოლო უკანა გზაზე, შემონათვალისამებრ, ორიოდე დღით თემრავ აწაბაბისას შეეყოვნებას და ოტობაიას, ფიჩორისა და გაგიდის ქალებში ქილორზე აპირებდა ნადირობას.

მრავალრიცხოვან ცხენოსანთა ამალითა და სანადიროდ მადაამრული მწვერების გნისით, აწაბაბის მამულს შუადღისთვის რომ მიუახლოვდა, თემრავი აფხაზეთში სიუხერენის მიმართ ვასალის მორჩილებისა და თავგანისცემის ნიშნად, მწვანე მოლით დაფარული ვრცელი მინდვრის კიდეზე, კრამიტით გადახურულ ალაყაფის კართან ელოდა ძვირფას სტუმარს. შარვაშიძის ამაღა ალაყაფს რომ გაუსწორდა, ლამის მუხლამდე თავდადრეკილი მიეგება, ცხენიდან მარდად ჩამომხდარ, სასურველ სტუმარს მკერდზე ემთხვია, თვით სტუმარიც დაიხარა და გულში ჩაიკრა მხცით მოსილი, დიდებული აღნაგობის მასპინძელი.

– ხომ მშვიდობით მოიარეთ დედულეთი, პატინსქუა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩემ ფაცხაში, – ომახინად მიმართა თემრავმა ძვირფას სტუმარს და თავისი სრა-სახლისკენ გაიშვირა ხელი.

– დიდებული დროება გავატარე დედულეთში და ძიძვილებში, თავს მეველებოდნენ, მარა ერთ თარჩიას ვეღარ მოახეს თავი და ახლა იმედი მაქვს, ოტობაიელები მაინც არ უღალატებთ თქვენს სტუმართმოყვარეობას,

- 3 ტყის ქათამი (მეგრ.)
- 4 ხოხობი (მეგრ.)
- 5 ბატონიშვილი (მეგრ.)
- 6 მარულა (მეგრ.)

– იყო ნიაზის პასუხი, რაც თემრას, ცოტა არ იყოს, არ ეჭაბუნია, რადგან ოდიშისკენ გეზაღებულს შიკრიკმა, ქილორზე სანადიროდ გამოივლინა, აუნჯა გარკვევით, თარჩიაზე კი სიტყვა არ დასცდენია, მაგრამ სიუხერენს შემონათვალის შეხსენება ვერ შეჰკადრა და, სანამ იგი მისი ოჯახის წევრებს შიოკითხავდა, მოურავს დაავალა, მეორე დღისთვის, რაც უნდა დასჯდომოდა, თადარიგი დაეჭრა და, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდა, თარჩიის გამართვას რა წინასწარი სამზადისი და დავიდარაბა უძლოდა, მოურავი ნემსის ყუნწში უნდა გამძვარიყო, რომ თავადის ბრძანება შეესრულებინა.

სტუმრები ხმაურით ჩამოქვეითდნენ, შინაგმები ცხენებს თავისიკენ წაუძღვნენ, ხოლო მწვერები სრა-სახლისდან მოშორებით მდგომი სადგომებისკენ წაუღალეს...

მეორე დღით თემრაზ ანჯაფაძის ეზოში თავშეყრილი ოტობაიელი ანჩაბაძეების, თავი-ლონელი მარღანიების, ნაბაკეველ, ხურჩელ, ფიჩორელ თუ გაგიდელ დიდებულთა და უაზნოთა ტალიკ-ტალიკა ჭაბუკები მოუთმენლად ელოდნენ აივანზე მთელი ღამის ნაქვიფარი შარვაშიდის გამოჩენას, მაგრამ იგი არ ჩქარობდა და, როცა, ბოლოს და ბოლოს, შინდისფერი აბრეშუმის ახალუხით შემოსილი და მსუბუქად აღჭურვილი მათ წინაშე წარსდგა, ლოდინი და მღელვარება გადავიწყდათ და ჭაბუკი რაინდის წინაშე ქედი მდაბლად მოიდრეკეს.

– გომორძგუა ვიმაღელი? – ვაჟკაცური ხმითა და ჩამომავლობის შესაფერისი რიხით მიესალმა ეზოში შეყრილთ ნიაზი.

– ლორთქე გოგომორძგუას პატინსქუა!⁷

– ხალისიანად დააგუგუნეს მასპინძლებმა.

თემრაზ ანჯაფაძის ჯალაბობა სასუკვარი სტუმრის ყოველ მიმოხერას განსაკუთრებული ყურადღებითა და კრძალვით ადევნებდა თავს აივნის ბოლოდან, ხოლო თვით თემრაზი სრასახლის წინკართან ისე განაბულიყო, დაკვირვებული კაცი ადვილად მიხედებოდა, რომ რაღაცის მოლოდინით იყო გათანგული. აკი, წინათგრძობამ არ უმტყუნა: ნიაზი იმის შემდეგ, რაც ეზოში თავშეყრილ ცხენებსა და მათ მხედრებს საითთოდ დააკვირდა და წინა რიგში მყოფთა შორის ღირსეული მეტოქის გარკვევას შეეცადა, თემრაზს მიუბრუნდა.

– შენზე ამბობენ, ავ თავალს არ დაენახვება; ისეთი ყაბარდოული ვარყაჰჰყავსო, – ეითომ სხვათა შორის გადაულაპარაკა და აგნისებულ ეზოს მოავლო მზერა.

– კი მყავს, მარა რად გინდა, ატყეჩილი კოჭი ვერაფრით მოიშუშა და თარჩიაზე კი არა, ეზოშიც კი ვერ გამოიყვანია! – ოდნავ დახანებოდა და ისეთი გამომეტყველებით უპასუხა თემრაზმა, სტუმარი ამ განმარტებას უნდა ნდობოდა, მაგრამ იგი განსაკუთრებული სიჯიუტით იყო ცნობილი და, სანამ თავისას არ გაიტანდა, არ დაშოშმინებოდა, თემრაზი კი, თავის მხრივ, თავის დაცვას ცდილობდა, რადგან იცოდა, თუ ნიაზს ულაყი მოეწონებოდა, იძულებული გახდებოდა, აფხაზური ჩვეულებისამებრ, სტუმრისთვის უსიტყვოდ დაეთმო, არადა, პირმშოსავით ნაზარდი და ნაფერები ულაყი არავისთვის ემეტებოდა.

– ერთი თვალის შევლება მის კოჭს, მგონი, არაფერს დაუშავებს! – სულწასულობა ველარ დაფარა ნიაზმა და ეზოში მონრიალე მხედრებს გახედა.

როცა დარწმუნდა, რომ სტუმარი სიჯიუტეს არ მოიშლიდა, თემრაზმა მეჯინებს ცხენის გამოყვანა უბრძანა.

რამდენიმე ხანში საჯინბოს მხრიდან ზურგზე წილისფრად დაფორაჯებულმა მოთოხარკე თეთრონმა გამანათა, რომლის ალფორისთვის მეჯინებს მთელი ძალით ჩაველო ხელი და სრა-სახლის წინ თავშეყრილებისკენ ძლივს მოუძღვებოდა, მაგრამ, როგორც კი ცხენმა პატრონი შენიშნა, შედგა, გაიღურსა და თავი დახარა, რაც მისალმებას და პატრონის მიმართ მორჩილებასაც ნიშნავდა.

ეზოში ცხენის საუცხოო იერითა და ხნით მონუსხულ თავშეყრილთ გაცხებისა თუ ალტაცების ბუბუნმა გადაურბინა, ნიაზს ამ მალაქეანჭება, მწყაზარმა არსებამ ერთი დაუოკებელი მერანი მოაგონა და მისი ხელში ჩაგდებას სურვილით მეთად აღგზნებული მასპინძელს მიუბრუნდა.

– და მის დამალვას აპირებდი? – მოურიდებლად მიახალა.

– როგორ გეკადრებათ, პატინსქუა, აკი აღვნიშნე, რომ ჯერ ისევ ოდნავ კელნაობს, – მიუგო ნირშეუცვლელად თემრაზმა.

– დავიჯერო, ზედ ერთხელაც არ შემეჯდარხარ?! – გაოცებით ჩაეკითხა სტუმარი.

– სანამ კოჭი საბოლოოდ არ მოუშუშდება, მასზე შევჯდომა რანაირად შეიძლება! – თემრაზის მჭახე ხმაში ამჯერად საყვედურმა გაიჟღერა.

– აქვე ეზოში ფრთხილად რომ გავტარ-გამოვატარო? – ფლიდად შეაპარა სტუმარმა.

– ამას როგორ დავიშლი, პატინსქუა, მაგრამ თუ ეს მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა?..

– არა მგონია, იმდენად ტანმაჩე ვარ, ჩემს სიმძიმეს სულაც ვერ იგრძნობს.

– რა გაეწყობა! – სინანული აღმოხდა ანჩაბაძეს, აივნიდან ჩავიდა, მორჩილად გატრუნულ ცხენს მიუახლოვდა, კისერზე ხელი გადაუსვა, ყურში რაღაც ჩასურჩულა, აივანზე დაბრუნდა, მეჯინებს ცხენის შეკაზმვა უბრძანა და ერთიანად მოღვეთილი თვალს ადევნებდა, მეჯინების გამოცდილმა ხელმა როგორ მარჯვედ დაადგა ცხენს უნაგირი, მოუჭირა მოსართავები, ბოლოს თვალზე აბრეშუმის შავი ნაჭერი ააფარა და ანჩაბაძის გვერდით მოუთმენლად მცემუკავ სტუმარს გახედა.

– მიბრძანდით, პატინსქუა, – განწირულის ხმით აუნჯა ანჯაფაძემ ნიაზს და ცხენზე მიუთითა.

სანადელს მიღწეული სტუმარი აივნიდან კიბის საფეხურებზე ღამის ფეხდაუკარებლად ჩაფრინდა და ცხენისკენ თავმომწონედ, მხრების რწევით გაემართა.

უეცრად შუა გზაზე შედგა, ანჯაფაძეს ახედა და ჰკითხა:

– მისი სახელი?!

– ჩელაია!⁸ – კუშტად მიუგო ანჯაფაძემ.

„სასწაულია პირდაპირ, როგორც იმ ჩემ უჯიათს... მასავით მურტალი დასამორჩილებელი თუ გამოდგა, იმედია, სანანებელი არ გამიხდება!“, – გაიფიქრა ნიაზმა, ცხენს მიუახლოვდა, ზურგზე ხელი გადაუსვა, ანჯაფაძის მიბაძვით მის ყურთან დაიხარა და საალერსო სიტყვები ჩასურჩულა.

ცხენმა როგორც კი უცხოს სუნე იკრა, მოუხვეწრად ანჩაბაძეს, ცხვირის ნესტოები დაბერა და ფრუტუნს მოჰყვა, ხოლო ნიაზის ჩურჩულზე შეტორტმანდა, თავი ასწია, მშვილდით დაიჭიმა, სალი ტორი გამეტებით დასცხო მიწას, ყალყზე შეიმართა და წინ გაჭრა მოინდომა, მაგრამ მეჯინებმე შებოჭა, ხოლო ნიაზმა ცხენის გაოგნებით ისარგებლა, უზანგში ფეხგაუყრელად ზურგზე მოახტა, თვალისგან შავი ნაჭერი ჩამოაცალა, მუხლები ფერდებში ამოჰკრა, დასჭყვილა და ცხენიც ადგოდა მისწყდა.

ჩელაია თავიდან ოდნავ კელნაობდა, თანდათან ნაბიჯი გაასწორა და ალაყაფისკენ აიღო გეზი, მაგრამ, როგორც კი შიგ ჩამდგარ ცხენოსნებს თვალის მოჰკრა, შედგა, მიტრიალდა, დაიძრა, სიჩქარე აკრიფა, ძელური ღობისკენ გაქუსლა, ზედ შურდულივით გადაეველო და ტრიალ მინდორში გაიჭრა.

მხედარი როგორაც არ ეცადა, ცხენის დამორჩილება ვერაფრით შეძლო, ადვირი მიუშვა და მის ფაფარს ჩაფრენილი ყოველ წუთს სიარვის მოლოდინში იყო.

თარჩიისთვის შეყრილი მხედრობა თავიდან დუმილით გაჰყურებდა ტრიალ ველზე გაჭრილ ულაყსა და მის ფაფარს უმწეოდ ჩაფრენილ მხედარს, მერე კი, თითქოს ვილაცას საიდუმლო ნიშანი მიეცა, ცხენებზე ამხედრდნენ და სისხლის გამყინავი ყივილითა და აფხაზურ-მეგრული შემახილებით გამოუდგნენ დაუზოგავად მქროლავ ცხენ-მხედარს.

ანჯაფაძის მრავლისშემწრე ჯალაბი განჯგონებული იდგა აივანზე, სივრცეს გაჰყურებდა და საგანგებოდ არიდებდა მზერას კერპითი გარინდულ თვავდს. ყველას აშფოთებდა ცხენის ბედი იმდენად, რამდენადაც, ამ შემთხვევაში სტუმრისადმი ოჯახის კეთილგანწყობა მის ნებასა და ზნეზე იყო დამოკიდებული და ყოველ მათგანში ოდნავი იმედი ჭიატებდა, რომ ჩელაია ანჯაფაძეთა სახლს საბოლოოდ არ გასწირავდა.

დამქანცველი ლოდინის შემდეგ, როცა აივანზე მყოფთ მათთვის კიდევ ერთხელ

თვალის მოკერის იმედიც კი ჰქონდათ გადაწურული, ვილაცამ შესძახა:

– ბრუნდებიან, დახეთ, ბრუნდებიან! ძნელი მისახვედრი არ იყო, ვინ ბრუნდებოდა, მაგრამ აივანზე მდგომთ ერთი სული ჰქონდათ, შეეტყობთ, კერძოდ ვინ მოუძღოდა ცხენოსნებს, ოღონდ სრა-სახლის სახურავზე უჩუმრად ამძვრალ, გულზევიადი თავადის კარზე სამადლოდ თავშეფარებულ ჯუჯა ხიფას და აივანზე მდგომთ, თემრაზის რიდის გამო, სიტყვა მეთად არც დასცდენიათ.

როცა მათ სმენას მხედრების ყივინა მისწვდა, მიხვდნენ, რომ ისინი სადაცაა მოაწყვდებოდნენ ეზოს ალაყაფს, მაგრამ აივნიდან ჩაქვეითებას არავინ ცდილა.

– რა დიაცხებით მოსჭყვიან, ასე ხომ მთლად გადარევენ ჩელაიას! – ცხენოსანთა


ნიშვილმა დაუყოვნებლივ მისი შინ წაყვანა ბრძანა.

ყველა წუხდა, ნიაზისთვის ტკივილის შემსუბუქებას ცდილობდა. თემრაზ ანჯაფაძეს არც წმა გაუღია და არც შერხეულა, გაქვევებული მზერით დასჩერებოდა მწვანე მოლზე ზღაპრული რაშივით განვართულ თეთრონს.

ანჯაფაძეს იერი არც მაშინ შეცვლია, როცა ალაყაფის კარში სახელდახელოდ შეკრული ჯალამბრით გაჰყავდათ დედაკაცივით მონიოკე ნიაზი და მასპინძლის მისამართით ქვეყნის გასაგონად გაჰყვიროდა:

– მზაკვალა!.. ახ, სი ჭყელი მზაკვალეფიშ გამნარყი!..¹¹

ეს ავი სახელი არა მარტო მას, მის შთამომავლებსაც დიდხანს გაჰყავთ, მათ შორის



მსახარი იაზო ნიკოლაძე

მისამართით საყვედური დასცდა ხმაგაზარულ თემრაზ ანჯაფაძეს. არავინ შეპასუხებია. ან ვინ გაბედავდა რამის თქმას. მალე ყველამ გარკვევით დაინახა ალაყაფის კარისკენ გახლებით მომქროლავი ჩელაია, მის უკან ამაზრუნად აჭყვივებული, მდევრად ქცეული ბრბო და ანჯაფაძის საყვედური სამართლიანად მიიჩინეს.

პირზე დუშომდგარი, ერთიანად ოფლში გახვითქული და ჩინდაკარგულივით ნაბიჯარეული ჩელაია როგორც კი ეზოში შემოიჭრა, მდევრები ალაყაფის კართან შეყოვნდნენ და მოვლენების შემდგომ განვითარებას იქ დაელოდნენ.

ჩელაიამ სრა-სახლს რამდენჯერმე თავდაუზოგავად შემოურბინა, განწირულის გამომეტყველებით ცხენის ფაფარს ჩაფრენილი ნიაზი უნაგირზე თავს ძლივს იმაგრებდა, რომ უცაბედად არ გადმოვარდნილიყო და ცხენის ფლოქვეების წერა არ გამხდარიყო. მის უმწეობას წკმუტუნში გადაზრდილი ღმუილი სამარცხვინო უღერადობას ანიჭებდა.

უეცრად, ცხენმა სრბოლა შეანელა, თანდათან ჩორთზე გადავიდა, სრა-სახლის აივნის წინ შედგა და ქანდაკივით გაიღურსა.

პატრონმა ცხენს გამჭოლი მზერა მიაპყრო.

ცხენმა პატრონს თავი მორჩილად დაუკრა, მერე უცნაურად გაშეშდა, მაგრამ უეცრად ისე მძლავრად შეირხა, გეგონებოდა, განცდილი ელდა და ურვა ჩამოიბერტყაო, შემდეგ მგალობელი ფრინველივით ყელი მოიღერა, მთელი ძალით დაიჭიხინა, ციბრუტყივით დაზრიალდა, უცებ გაირინდა და მოცელივით მინდორზე დაენარცხა.

ალაყაფთან და აივანზე მდგომთ ჩელაიას გამოსამშვიდობებელი ჭიხინის, უცნაური ტრიალისა და ნაქცივის გამო, სიბრაულის ოხერა აღმოხდათ. მთელი შემოგარენი დამთრგუნველმა დუმილმა მოიცვა, ვინ იცის, ეს დუმილი რამდენ ხანს გასტანდა, ცხენის ქვეშ მოყოლილი ნიაზის ცისა და მიწის შემძვრელ, სასონარკვეთილ ყვირილს მისი არსებობა რომ არ შეეხსენებინა იქ მყოფთათვის.

შარვაშიდის მხლებლები ცხენს მისცვივდნენ, ქვემოდან ძლივს გამოაცალეს მტვერსა და ტალახში ამოგანგლული ნიაზი და სრა-სახლში დაუპირეს აყვანა, მაგრამ აუტანელი ტკივილით აბლაგლებულმა ბატო-

ბუდლასაც, რომელსაც დედაქალაქში გათხოვილი მეზობლების მეტიჩარა ქალშვილები ზაფხულის არდადეგებზე შინ რომ ჩადიოდნენ, არ გათარსოსო და, მთელი კვირა ბავშვებს არიდებდნენ. სინამდვილეში, მთელი ზამთრის განმავლობაში შინ გამოკეტილი პატარებისთვის ორდღიანი სურდო და უმადობა აფხაზეთის კლიმატისადმი შეგუების წინაპირობა ხდებოდა, რაც მათ ჯანმრთელობაზე შემდგომში აუცილებლად სასიკეთოდ აისახებოდა.

როგორც ჩანდა, ბუდლასთვის მისდამი მეზობლების ამგვარი დამოკიდებულება უცხო არ იყო და მსგავსი უხერხულობისთვის თავის არიდებას მუდმივად ცდილობდა. თეოს რამდენჯერ შეუნიშნავს, დილის საათებში ჭიშკარს მიახლოებულს შემხვედრი მეზობლისთვის ტყვიანაკრავივით ზურგი როგორ შეუქცივია და იქვე დაფნის ბუჩქებს ამოფარებია, რასაც მავანი მის უცნაურ ხასიათს მიაწერდა, არადა, იგი დილაობით საგანგებოდ არიდებდა ყველას თავს, რომ მისთვის ცუდმეკველეობა არ დაებრალეზინათ. ამას გარდა, ზოგიერთს გულზე პირში სიმართლის მთქმელობისთვისაც არ ეხატებოდა.

ერთი მეზობელი იმის გამო გაუნაწყენდა, მისი თანდასწრებით დაუკეხინა, ჩემი შვიდი შვილიდან ერთ-ერთი უჭვევლად აკადემიოსი უნდა გახდეს, ორი პროფესორი, დანარჩენები კი ექიმები და ინჟინრებიო. ბუდლას უპასუხია, შენს პირს შაქარი, მაგრამ, ჩემი აზრით, ორ მათგანს არა უშავს, დანარჩენებიდან კი ზოგი მოფერი გამოვა, ზოგი მინის მუშა, ყალთაბანდი და ციხის წერაო, რას მიედ-მოედო ეს დედაბერი, ასეთი რამის თქმა როგორ მაკადრაო, – მის ზურგსუკან დიდხანს ნიოკობდა მეზობელი. ბუდლა ვერ მოეწონო, თორემ მისი ნათქვამი გასაოცარი სიზუსტით ახდა და იმ კუდიანმა ჩემი შვილების მომავალი ასე ზედმინევენი წინასწარ როგორ განსაზღვრაო, არ მოშმინდებოდა მეზობელი.

თეოს აზრით კი, ბუდლა არც კუდიანი იყო და არც წინასწარმეტყველი, ძლიერი ქალური ინტუიცია და დაკვირვების უნარი ჰქონდა, ასე რომ არ ყოფილიყო, პირველ რიგში, თვით თეო ინვენედა მისი დამთრგუნველი ძალის ზემოქმედებას.

11 მზაკვარი!.. ოხ, შე დანყველილ მწიბავთა მოდგმის ნაგრაშო! (მეგრ.)

7 გამარჯობა, მძებო! (მეგრ.)
8 უფალმა გამარჯვებული გყოს, ბატონიშვილო! (მეგრ.)
9 ულაყი (მეგრ.)

10 თეთრონი (მეგრ.)

► პირველი გვარდიანი

ათენ-ალამებდენ
 დღიურ მუშებთან...
 „მეთოთხმეტე მოციქულს“
 ახურავს
 პოეტის კევი
 და პოეზიაა მისი კერპი,
 გასანკეპლია
 შვინდარნლის წეპლით,
 მელექსე ვისაც
 ჰგონია
 პოეტი!
 ხუთიათასამდე ენააო
 დედამინაზე – სტატისტიკამ,
 ლექტოპსაც
 ბევრი უყრია ჩანთაში,
 ბუნებისა და სიყვარულის
 ენა
 თუ იცი;
 ჩათვალე, რომ გცოდნია
 ხუთივე ათასი!
 დამცინავ მზერას, ვიცი,
 დახლიდან
 მეჯღანუაშვილი
 არა და არ იშლის...
 ყველაზე დიდი პოეტი
 ბუნებაა
 და მიყვარს იგი,
 უსაშველოდ!
 სეტყვამ გამინადგურა
 ბალ-ვენახი,
 სიტყვამ
 გამიცამტვერა სანუთრო –
 ედემი,
 ტყვიამ
 სულ დაკარგა შინაარსი
 და ღობე-ყორეს
 ამოედ ედება...
 ახალა მივაქციე ყურადღება,
 როგორ ჰგავს ერთმანეთს
 მეფე და მაფია...
 ჰოდა, რასაც ვხედავთ
 და რაც სულ აქვია,
 ჩვენზე,
 ალბათ,
 ყველაფერი ახია!
 ღმერთმა, ნეტავ,
 როგორ იპოვა ნოე,
 ვინ ჰყავდა მრჩეველი
 და ავან-ჩავანი!
 ნოეს რომ არ შეეშვა
 კ ი დ ო ბ ა ნ შ ი
 მავანი და მავანი,
 აღარ ვიქნებოდით
 ახალი წარღვნის
 მოლოდინში!
 როგორც ჩანს,
 პოეტები არც ნოეს უყვარდა,
 კიდობანში,
 მათთვის,
 ადგილები არ ეყო,
 „მეთოთხმეტე მოციქულს“
 მხარში
 ლექსი ედგა
 და მისი გამძლეობით
 ამაცობდა!
 ვილაცამ, ფბ-ზე,
 უბოდიშოდ მიმბლოკა,
 საინტერესოა,
 როგორ ნითლდება
 მინაში ბოლოკი?

რუსებს მშენიერი
 პოეტები ჰყავდათ,
 მათ შორის, ძვირფასი
 ალექსანდრ ბლოკი!
 დღევანდელობას
 პოეტი
 ფეხებში ებლანდება,
 ყოფნა-არყოფნას
 განაგებს
 პოლიტიკა,
 მასში რა ასხია,
 იცის
 მხოლოდ ტიკმა,
 სხვამ,
 რაც უნდა,
 ის იტლიკინოს!..
 მგლის ხროვა
 სისხლით ფლობს
 საკრებულოს,
 ფუტკარს,
 პარლამენტი,
 გენში აქვს,
 ვარდისა და ჯვრის
 საიდუმლო,
 ხომ არ გაგიგიათ,
 ახლა, ვის ხელშია?!
 ჟამი უფლობს-მეთქი,
 უნდა მეთქვა
 და თვითონ „კალამა“
 შემისწორა,
 ჟამი ფულობსო,
 მიკარნახა,
 რას ველოდებოდი,
 უფრო ახალს, –
 მხოლოდ ფულს რომ ძოვს
 ჩვენებური ნახირიც,
 ეს,
 მე კი არა,
 ბავშვმაც იცის,
 არ არის მისი ახირება
 მოგონილი,
 რა ქნას, რომ
 ქიციც იცის და
 ქიცმაცურიც!
 უხვი სალაფავით რომ გაძლება,
 ღორიც კი სალორეში მიდის,
 ვინმეებს,
 უკაცრავად,
 მაშინ რომ ესურვებათ
 „ხალხის მსახურების“
 იმიჯი!
 თაობა ტრაბახობს
 ხელოვნური ინტელექტით,
 ვითომ, იყენებდეს,
 არსებულის მეასედს,
 ადამს ანუხებს
 თიხიდან შობის აქტი,
 ადამი საკუთარ
 ღვთიურობას
 უარყოფს!
 ვი-რუსი,
 ვინ დაარქვა ბაქტერიას,
 სალათას ძილიდან
 ერკვევა სირიუსი,
 არავითარი პლუს-მინუსი,
 ყოველგვარ ვირუსზე
 ათასჯერ მკვლელია
 სიძულვილის
 ვირუსი!..
 ქრისტე მარადიულობს
 ზნეობით,

სხეული ყოფიერს
 ძალღვივით მიუგდო,
 ხორცის მადას,
 სული,
 რას გაუძლებს –
 ამ აზრის იყო
 გოეთეც და პიუგოც...
 დაბადებამდე დარბოდა
 ფერების მინდორში,
 ყვაოდა თავადაც
 მოყვავილე ევა,
 მხამიან კუნძულზე
 ერთი ხეც არ არი,
 ჩიტად რომ შეიფაროს
 მარინა ცვეტაევა!..
 ჩვენს ანბანს ვინც
 ახლოზე ახლო იცნობს,
 ვერავინ მიამატებს, ალბათ,
 ზოსიმეზე მეტს,
 ღმერთს
 ადამიანი
 ვერასოდეს შექმნის,
 რაც უნდა ბევრი იჩალიჩოს!
 იქნებ, ჩვენ მაინც
 შევთანხმდეთ თარიღზე, –
 ასომთავრულობს
 რამაზ პატარიძე,
 როდის გაჩნდა ეს ქვეყანა,
 სთქვი, აბა!
 იყოს შენი ჯერი!
 – რას ეუბნება კედელი კედელს, –
 ჯერ ის ამოხსენითო, –
 სელინჯერმა!
 ღმერთმა
 ყველაზე მეტად იცის
 მარტოობის ფასი,
 და – ადამს, ნეკნიდან,
 გაუჩინა
 ევა,
 ევასთვის არავის მიუცია
 არჩევანი – სად იყო ასარჩევი,
 ჰოდა,
 როდის დაიკავებს თავის
 ადგილს
 ადამის სხეულში,
 არ არის
 არავის გასარჩევი!
 ზის შავ-თეთრი კარტით,
 ბედისმწერლის როლში,
 ჟამი მზერამრუდი,
 სულ უცხოზე უცხო
 და ცბიერად არჩევს,
 ვინ ნავიდეს ი ქ ი თ,
 ვინ ნავიდეს აქეთ,
 ვინ გაქრეს და დარჩეს...
 გორაკზე ფერგამკრთალი
 მოჩანს როსინანტი,
 გალეული მხედარი
 და
 მისი სანჩო...
 წარღვნაშიც დაგირეკავდა
 ზალიკო,
 რა თქმა უნდა!
 იცის მან ჭეშმარიტი
 პოეტის ფასი,
 პოეზია არის
 აზროვნების ფუფუნება,
 არ არის პოეზია
 ყოველდღიური ლუკმა
 მასის!
 მასებთან ყოფნა

უყვარდა გრიშაშვილს,
 მაობრიობას გაუფრთხილდა
 დიდ-პატარა პოეტი და მსოფლიო,
 რაც არ უნდა
 არ შეგეძლოს ატანა,
 მსოფლიო გემრიელობს
 „ჰარი პოტერიო!“
 მთანმინდას უნდა დავამატოთ
 ზედა სართული,
 როგორც ჩანს, საჭიროა
 ქვედა – მინუსიც,
 ადგილები, კარგა ხანია,
 საკმარისი აღარ არის და
 სად წავა ამდენი
 გენიოსი ქართველი...
 სხვის საფლავში
 პოეტი ვერ გაძლებს,
 მეტისმეტია –
 სიცოცხლეც მუქთა
 და
 საფლავიც მუქთა,
 კარზეა მომდგარი
 მეორედ მოსვლა,
 შეცდომის დაშვება
 ღმერთმა ნუ ქნას!
 პოეტს,
 ლექსის გარდა,
 სჭირდება ილბალი,
 პოეტური ილბალი
 სხვა ხილია,
 ვილაც,
 ტყემალზე რომ ზის
 და
 ჰგონია
 ბალი, –
 ჩემი ღრმა რწმენით,
 ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი ა!
 ჩაკეცილ დროში,
 დღითა და ღამით,
 ღმერთის ღმერთს ეძებს
 გია დვალი...
 დიდი ხანია,
 ნასასვლელად ვემზადები,
 მზადა მაქვს
 სამგზავრო ჩემოდანი...
 მანამდე,
 იმედია,
 წარღვნაც აიცრება,
 ბატონო
 „მეთოთხმეტე მოციქულს“,
 უკვე მივიღე
 შენი ლექსის ვიზა,
 ეს წარღვნა, როგორმე,
 მეც უნდა გადმოვცურო.
 წამოსვლამდე, იცოდე,
 რაღაც უნდა გითხრა,
 ოლონდ, ისიც, როგორც ადრე,
 ჩვენში უნდა დარჩეს –
 დელფოს სამისნოში
 როგორც მითხრეს,
 მეც
 ლექსის დელფინი გადამარჩენს!
 ლაგამს სდებს დედამინას
 ვილაც და ვილაც,
 მასკი თუ გეიტსი თუ –
 ვინც არი...
 უსასრულობაში მიმაფრენს
 კარეტა,
 გულქვეშ მაქვს პლანეტა,
 ნ ა დ ე დ ა მ ი ნ ა რ ი...
 2.09.21



მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა ჟურნალ „თეატრი“ (2019 წ. №1) დაბეჭდილი მუსიკათმცოდნე მანანა ახმეტელის წერილის შესახებ. მასში დასმული საკითხი პრობლემატური და საზოგადოებრივ შეფასებას საჭიროებს.

ქალბატონმა მანანა ახმეტელმა გამოაქვეყნა ცნობილი რუსი თეატრმცოდნის კონსტანტინ რუდნიცის წერილი „ახმეტელის მისია“. შესავალ წერილში ქალბატონი მანანა აკინებს ქართველ თეატრმცოდნეთა ღვაწლს ბაბუამისის, სანდრო ახმეტელის, შემოქმედების შესწავლის საქმეში.

მისი თქმით, სანდრო ახმეტელის შემოქმედება „ჭეშმარიტების აღიარების“ გარეშე დარჩებოდა, რუდნიცის რომ თავისი წერილი პირადად მისთვის, როგორც „ყველაზე სანდო და საიმედო პირისთვის“ არ გამოეგზავნა. რეალობა ცოცხალ გადაჭარბებული ხომ არ არის?! სანდრო ახმეტელის შემოქმედების რეაბილიტაციის ავტორები, ნინო შვანგირაძე და ვასო კიკნაძე, ცოცხალი აღარ არიან... მაგრამ ჩვენ ხომ გვახსოვს ქალბატონი მანანას აზრი მათ ღვაწლზე. ახლა კი თურმე კ. რუდნიცის ყოფილი ყველაფერი.

მივიჩნევ, მანანა ახმეტელს საიდან დაუგროვდა ამდენი აგრესია ქართველი თეატრმცოდნეების მიმართ, რომ მათ ღვაწლს, რაც თავის დროზე გმირობის ტოლფასი გახლდათ, ასე ამცირებს? სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი კომენტარი: „...ბატონმა რუდნიცის, როგორც ჩანს, კარგად იცოდა, რომ საქართველოში იმხანად მისი წერილი დღის სინათლეს ასე ადვილად ვერ იხილავდა; ისიც იცოდა, რომ ოდესმე ჭეშმარიტების აღიარების უამრავი დადგებოდა. ეს კი მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა სანდრო ახმეტელის მიმართ მტრული ძალები ასპარეზიდან წავიდოდნენ, როცა მისი სახელის გარშემო ჩამოწოლილი შავი ღრუბლები საბოლოოდ გაიფანტებოდა (თუმცა, ამაში ბოლომდე არც დღეს ვარ დარწმუნებული, მიუხედავად იმისა, რომ სანდრო ახმეტელის შემოქმედების რეაბილიტაციისათვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდა).“

ამ ციტატაში ბევრია საკამათო. ჯერ ერთი, რუდნიცის საიდან უნდა სცოდნოდა, მის წერილს დაბეჭდავდნენ თუ არა. თანაც რომელ მტრულ ძალებზეა ლაპარაკი? 1984 წელს სადავო აღარ იყო სანდრო ახმეტელის შემოქმედება და მას საყოველთაო აღიარება ჰქონდა მოპოვებული.

ამის დასტურია 1958 წელს გამოსული სანდრო ახმეტელის კრებული (შემდგენელი ნ. შვანგირაძე) და წიგნი რუსთაველის თეატრის შესახებ (შ. აფხაიძე, ნ. შვანგირაძე, რუსულ ენაზე).

1964 წელს გამოვიდა მეორე კრებული (შემდგენელი ე. კიკნაძე). 1967 წელს გაიმართა მისი დაბადებიდან მე-80 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო; 1987 წელს – მე-100-ე წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. მაშინ არავის გამოუთქვამს სანინაალმდეგო მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, რომ ცოცხალი იყო კოტე მარჯანიშვილის მომხრეთა ნაწილი, რომლებიც სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი რეაბილიტაცი-

ის დაწყებისას ამ საქმის მართლაც დიდი მონინალმდეგები იყვნენ. ამის მაგალითია საქართველოს თეატრალური საზოგადოების 1960 წელს გამართული პლენუმი, სადაც ცნობილი თეატრმცოდნე, ქალბატონმა ნინო შვანგირაძემ ისაუბრა ახმეტელის შემოქმედების შესახებ და მონინალმდეგეთა მხრიდან არაერთი თავდასხმა მოიგერია. ამდენად, ე.წ. „შავი ღრუბლები“ კარგა ხნის

შეხვედრის თუ პროპაგანდა?

გაფანტული იყო და გაუგებარია, რაზე დავობს მანანა ახმეტელი! უფრო გასაოცარია მისი ნათქვამი, თითქოს იგი დღესაც არ არის დარწმუნებული ამ „შავი ღრუბლების“ გაფანტვაში, რაც სრულიად მიუღებელი და უმართებულოა, ვინაიდან დღეს უკვე აღიარებულია და ეჭვქვეშ არავინ აყენებს დიდი ხელოვანის შემოქმედებას. პირიქით, გრძელდება სამეცნიერო კვლევები და ახმეტელის შემოქმედებისადმი ინტერესი არ ნელდება.

აშკარად არ შეესაბამება სიმართლეს, ქალბატონ მანანა ახმეტელის შემდეგი სიტყვებიც: „მისი წერილის ქართული თარგმანი მაშინვე შევთავაზე რამდენიმე რედაქციას, მაგრამ დაბეჭდვის სურვილი არავის გამოუთქვამს...“ ამის პრობლემა მას არ ჰქონდა, ვინაიდან იმჟამად დიდი ავტორიტეტის მქონე ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ განყოფილების გამგე იყო და არა მგონია, დიდი წინააღმდეგობაც შეხვედროდა. ფაქტის დასადაგენად მივმართე მის ყოფილ რედაქტორს, ბატონ მსგავსს რამ პირველად მესმის, ქალბატონ მანანას ჩემთვის არ მოუმართავსო. არც ჟურნალ „თეატრალური მოამბის“ რედაქტორი გურამ ბათიაშვილი წავიდოდა წინააღმდეგე, ქალბატონ მანანას რომ მიემართა. მაშ, რომელ რედაქციას გულისხმობს ავტორი? ეს გაურკვეველია და თუ საყვედურს წერდა, სათანადო ორგანოც უნდა დაესახელებინა...

ახლა კი მივყვებით მანანა ახმეტელის მიერ ცაში აყვანილ და ლამის საპროგრამო წერილად შერაცხილ კონსტანტინ რუდნიცის წერილს „ახმეტელის მისია“.

ავტორი დასაწყისიდანვე ცდილობს, ისეთი სურათი დახატოს, თითქოს ქართული თეატრმცოდნეობა მხოლოდ მარჯანიშვილისა და ახმეტელის პირადი ურთიერთობებისა და დაპირისპირების კვლევით იყო გატაცებული, ამიტომაც გვერდზე დარჩა შემოქმედებითი ასპექტები, „...რაც საშუალებას არ გვაძლევს, ჩვენდეთ და გავიზაროთ ორი უდიდესი ქართველი რეჟისორის შემოქმედების ჭეშმარიტი არსი“.

ეს მტკნარი სიცრუე და ქართველი თეატრმცოდნეების შეურაცხყოფაა. რუდნიცის ცუდად იცნობს ქართული თეატრის ისტორიას. ის წერს, რომ მარჯანიშვილებმა ქუთაისში ახალი კოლექტივი ჩამოაყალიბეს, ხოლო „...ამავდროულად ახმეტელის გარშემო გაერთიანდნენ დარჩენილი რუსთაველები და დააარსეს კიდევ ახალი თეატრი“. მსგავსი უაზრობა გაგონილა?! რუსთაველის თეატრი თურმე თავიდან დაუარსებიათ... ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა რუსთაველის თეატრში განაგრძეს მუშაობაო. ამის შემდეგ რუდნიცის ყურადღებას ამახვილებს ორივე რეჟისორის გარშემო გავრცელებულ ჭორებზე, თითქოს ყველაფერი ბრალდებოდა დისციპლინასა და ხასიათთა შეუთავსებლობას. ამაზე რუდნიცის იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რათა დაასკვნას: „...აბსოლუტურად ნათელია, რომ უთანხმოება გამონეწული იყო ერთმანეთისათვის მიუღებელი ესთეტიკური პოზიციებით“. მერედა, ვინ უარყოფს ამას? პირიქით, შეიქმნა არაერთი ნაშრომი, რომლებშიც ეს საკითხებია განხილული.

შეიძლება დავასახელოთ: შ. აფხაიძის, ნ. შვანგირაძის „რუსთაველის თეატრი“ (რუსულ ენაზე, 1958); შ. მჭავარიანის „კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის

შემოქმედებითი ურთიერთობა“ (1961); ე. გუგუშვილის მონოგრაფიაში „კოტე მარჯანიშვილი“ (1972) თავში „ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი, გარკვეული ნაწილი სანდრო ახმეტელისა და კორპორაცია „დურუჯის“ ურთიერთობებს ეთმობა (გვ. 426-435), ვ. კიკნაძის წიგნი „სანდრო ახმეტელი“ (1977) სპეციალურადაა გამოყოფილი თავი „კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო

ახმეტელის შემოქმედებითი ურთიერთობის საკითხისათვის“ (გვ. 54-97); ასევე, ე. დავითაიას „მარჯანიშვილისა და ახმეტელის ერთობლივი დადგმები“ (1981).


აქ ჩამოთვლილი ლიტერატურა რუდნიცის წერილამდე დაბეჭდილი და რუსი თეატრმცოდნე ვალდებული იყო, მათ გასცნობოდა, მაგრამ მაშინ კრიტიკა ხომ არ გამოუვიდოდა... ამიტომაც უსაფუძვლოა რუდნიცის ყალბი დასკვნა: „ამ კამათში რა პოზიციები ეჯახებოდა ერთმანეთს? კითხვაზე ქართული თეატრმცოდნეობითი ლიტერატურა არ იძლევა მკაფიო პასუხს“.

კ. რუდნიცის ისტორიულ ფაქტებს აყალბებს, როდესაც წერს, რომ კოტე მარჯანიშვილი ცდილობდა რუსული და ევროპული რეჟისურის დამკვიდრებას ქართულ სცენაზე, „...რომელსაც მანამდე არ გააჩნდა თანამედროვე გაგებით რეჟისორული გამოცდილება“. მაშ, არ აღუზრდია მოსკოვის სამხატვრო თეატრს პირველი პროფესიონალი ქართველი რეჟისორები: ალ. ნუნუნავა, აკ. ფაღავა, მ. ქორელი, ვ. შალიკაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი? კონსტანტინ რუდნიცის შეცდომა ისიც არის, რომ მარჯანიშვილის მიერ თეატრში ქართველი მხატვრების მიწვევის აღნიშვნისას დ. კაკაბაძის, ლ. გუდიაშვილის, ელ. ახვლედიანის გვერდით გამოჩნდა მთავარი – პეტრე ოცხელი! რუდნიცის „მოდერნის“ ქართულ თეატრმცოდნეობას, რომ თურმე ახმეტელის მისია, უპირველესად, „რეჟისორული თეატრის ეროვნულ ორკესტრირებაში მდგომარეობდა“. აი, რა „აღმოჩენა“ გაუკეთებია რუს კრიტიკოსს, თუმცა ქართველ თეატრმცოდნეთა ნაშრომებში სწორედ ეს ეროვნული საკითხია ნამოწეული.

რუდნიცის ღია კარს ამტვრევს: „ახმეტელის პოზიცია მტკიცე იყო და ნათელი. ეს ცხადზე უცხადესია ისევე, როგორც ორჯერ-ორი რომ ოთხია, რასაც ამტკიცებს მისი სპექტაკლები: „რღვევა“, „აზორო“, „ლამარა“, „in tirannos“ („ყაჩაღები“). სამწუხაროდ, რუდნიცის აქაც ცდება. ამ სპექტაკლების მაღალმხატვრობაში არც ერთ ქართველ თეატრმცოდნეს ეჭვი არ შეჰპარვია. სხვათა შორის, მანანა ახმეტელს „ინტირანოს“ უნდა ეთარგმნა ლათინურად (In tirannos), როგორც ეს რუდნიცისთანა და სპექტაკლის აფიშაზედაც ასე ეწერა.

გაურკვეველია, ვის „აკრიტიკებს“ რუდნიცის, როდესაც წერს XX ს. 30-იან წლებში ახმეტელის შემოქმედების შეგნებულ გაყალბებაზე. მაშ, რას დაწერდნენ რეპრესირებულ ხელოვანზე! ამ გარემოებას ის საერთოდ არ ახსენებს და ისე წერს მის „ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე“. მე დავამატებდი, რომ დიდ რეჟისორს ფორმალისტსაც აბრალებდნენ და ხალხის მტრადაც მყავდათ შერაცხილი. ეს პოლიტიკურ-იდეოლოგიური კონიუნქტურა იყო და არა თეატრმცოდნეთა შეცდომა.

ამის შესახებ დაუფარავად წერს ვასილ კიკნაძე მონოგრაფიის „სანდრო ახმეტელის“ თავში „სინამდვილე და მითები“, რომ 1937-1954 წლების არც ერთი დოკუმენტი სანდო არ იყო, ვინაიდან ისინი მხოლოდ ახმეტელის მხილებით იყო გაყენებული (გვ. 397). მე დავამატებ, რომ მოგვიანებით ალ. ფევრალსკის წიგნი „რუსთაველის თეატრი“ მსგავსი არასწორი შეფასებები განმეორდა და ქართულ პრესაში საკმაოდ მკაცრი შეფასებები დაიბეჭდა. ამდენად, ქართველი თეატრმცოდნეებიც ებრძოდნენ ამ არასწორ



შეხვედრებს და რუდნიცის არაფერი აქვს სასაყვედურო.

კონსტანტინ რუდნიცის წერს: „დღეს ეს ტექსტები კუროზულად გვეჩვენება, მაგრამ ცალკეული დემაგოგიური თეზისები და საშუალო იარაღები დღემდე ტვირთად აწვება თეატრის ისტორიკოსებს“. ავტორი მათ არ ასახელებს და ზოგადი მსჯელობით იფარგლება. მხოლოდ ს. აბალობელის 30-იანი წლების ტენდენციურობას აღნიშნავს. შეიძლება, ავტორს მხედველობაში აქვს დ. ჯანელიძის სტატია „ქართული თეატრი“, რომელიც „საბჭოთა დრამატული თეატრის ისტორიის“ მეხამე (1967) და მეოთხე (1968) ტომებში დაიბეჭდა და არაერთხელ გახდა ქართველ თეატრმცოდნეთა კრიტიკის ობიექტი. აშკარა დანაშაულია 1984 წელს ამ შეცდომად აღიარებული ბრალდებების უსაფუძვლოდ განახლება. ამიტომაც მცდარია რუდნიცის აზრი, თითქოს ქართველი თეატრმცოდნეები ნახევარსაუკუნოვან ბრალდებებს იმეორებდნენ.

რუდნიცის ცდება, როდესაც წერს, XX ს. 40-50-იან წლებში ერთნაირად იყო მივიწყებული მარჯანიშვილისა და ახმეტელის იდეებიო. უკვე აღვნიშნე, რომ ახმეტელის აკრძალვა მის რეპრესირებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო მარჯანიშვილი არავის მიუვიწყებია.

რუდნიცის არ იცნობს ამ პერიოდში მარჯანიშვილზე დაბეჭდილ ლიტერატურას. მოსკოვში გამოდის გ. კრიუციკის წიგნი „კონსტანტინ ალექსანდრეს ძე მარჯანიშვილი“ (1946); იმართება მარჯანიშვილის დაბადებიდან 75-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე (1947) და გამოდის კრებული „კოტე მარჯანიშვილი“ (1948); იბეჭდება: უმანგი ჩხეიძის „კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი“ (1949), კ. გოგოძის „კოტე მარჯანიშვილი“ (კინოში მუშაობის შესახებ, 1953) და კრებული „კოტე მარჯანიშვილი“ (რუსულ ენაზე, 1958); კრებული „კოტე მარჯანიშვილი“ (ყვარლის სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით), შემდგომ გამოცემებზე აღარაფერს ვამბობ. ეს არის „ერთნაირად მივიწყებული მარჯანიშვილი?!“ ბოლოს კონსტანტინ რუდნიცის ასკვნის: „ქართული სცენის მომავალი დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად თამამად და თავისუფლად შეძლებენ დღევანდელი რეჟისორები მიღებული მემკვიდრეობის განკარგვას“. არა გვეგონია, რუდნიცის ჰქონოდა ასეთი მცდარი მოსაზრების გამოთქმის უფლება, როდესაც რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძეს სწორედ ამ პოზიციით უკვე დადგმული ჰქონდათ თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები, რომლებზედაც მოსკოვის თეატრები ვერც კი იოცნებებდნენ.

ეს წერილი რომ მაშინ დაბეჭდილიყო, მართლაც ატყდებოდა დიდი ენებათა დღევა და რუდნიცის „მსჯელობიდან“ აღარაფერი დარჩებოდა. მართალია, კონსტანტინ რუდნიცის „ახმეტელის მისია“ ვერ ამოხსნა, მაგრამ, ვფიქრობთ, ქართული საზოგადოების პროვოცირებას კი აშკარად შეეცადა.

გუგაზ მებრელიძე


რეზო ზაინაბიშვილი

„კლავ იოს დანარჩენი“

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „ფაუსტის“ დავით წერეთლისეული თარგმანი

დღეს მრავალკეცი სასწაულის გავხდი მნახველი, მინდა თანდათან ბევრი რამე გამოვიკითხო, მაგრამ იქამდე ეს მითხარი, აი იმ კაცის ნალაპარაკებს, უცნაური რა უღერა ახლდა, უცნაური და ყურისათვის საამო ფრიად? წყვილდება სიტყვა, ბგერა ბგერას ეხმაკტილებო...

შეძლებოდა ლაპარაკს იმგვარივე ლამაზი სიტყვით? ელენეს გამოსვლა. „ფაუსტი“



და მის მშფოთვარე სულს და რა ნეტარებაა, რომ კეთილი ძალები სიზმარულ მოჩვენებასაგით არ ქრებიან და დგება ის კურთხეული წამი, როდესაც არარაობისთვის არშობილი, ამალღებული სულით ეგებება სიკვდილს, რადგან ღვთივ მოვლენილი ისევ უფალთან უკუიქცევა და მასთან პოულ-ობს შეგებას.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „ფაუსტის“ დავით წერეთლისეული თარგმანი წარმოადგენს ქართული მხატვრული მეტყველების ტრადიციის საუკეთესო გაგრძელებას. მის მიერ მიღებული კულტურულ-ენობრივი კრიტერიუმი საფუძვლით შეესაბამება გოეთეს ცნობიერების თვალსაზრისს, მისი ხედვისა და იდეების მასშტაბურობას, სტილისა და მეტყველების მოთხოვნებს. ცალკეული ნიმუშები ადვილად დაგვარწმუნებენ მთარგმნელის მიერ მიღებულ გადარწმუნებულ მართებულობაში და შეგვაგრძობინებენ, რომ მისი ყოველი სტრიქონი წმინდა ქართული აზროვნების ხატის განსიხტევაა. ამ მოცულობისა და აზრობრივად დატვირთული ნაწარმოებისათვის ეს ადვილად არ მიიღწევა და ქვეცნობიერად გექმნება ხატი პროცესისა, თუ როგორ ცდილობს მთარგმნელი, შეაღწიოს მონაკვეთის არსში, რათა დაიპყროს მისი შინაგანი სივრცე; განჭვრიტოს, განძარცვოს არსი დედნისეული სიტყვიერი სამოსლისგან, დაახანოს, ვიდრე აზრი მისი ცნობიერების ფსკერზე არ დაილექება, მის სულიერ ატმოსფეროში არ განზავდება, რომ ქართულ ლექსს დედნისეული ცხოველმყოფელობაც შეუნარჩუნოს, არსებობის საკუთარი დერიტაც შესძინოს და ქართული სიტყვით ასულდგამლოს.

თარგმნი დიალექტიკური პროცესია, რაც იმას ნიშნავს, რომ არის განსხვავებები. წარმოდგენილ ნიმუშში მონაკვეთს ორივე ენაზე მსგავსი ტოპოლოგიური ჩარჩო აქვს და ექვს სტრიქონზე იშლება. განსხვავებებს ქმნის ლექსწყობის ორი სხვადასხვა სისტემა – ქართულისთვის დამახასიათებელი სილაბური (მარცვლობრივი), (ასევე, სუსტი მახვილის გამო ნაწილობრივ ტონურიც) და გერმანულისთვის დამახასიათებელი ტონური (აქცენტური, მახვილიანი), სადაც ენისათვის ნიშანდობლივი მახვილი (ისევე, როგორც ინგლისურ და რუსულ ენებში), მნიშვნელოვნად ამახვილებს ლექსის დინამიკურ მახვილს. ბოლო ორი სტრიქონის დასაწყისი – რ ა ს ა ც, მეორდება პირველის გარდა ყველა სტრიქონში, რითაც ხაზი გაესმება მათ მნიშვნელოვნებას და დინამიკური მახვილიც სწორედ მათზე მოდის. მთარგმნელი თავს არიდებს ჰომოგენური ფრაზების მონოტონურობას და დასაშვებ, ლოგიკით იმპლიციტურ კლება-მატების პრინციპით სტრიქონებს ქართული ყურისათვის მისაღებ ყალიბში ათავსებს:

მეცნო სწავლული! - მისული ნირიც და სახეც; მხოლოდ ის სჯერა არსებულად, ხელს რასაც ახებს, ითადარიგებს, ახარისხებს, რიცხვებად კონაგს, სხვა დანარჩენი ლანდებოა, ფანტომთა დასი! რასაც სასწორზე ვერ შემოდებს, არა აქვს ნონა, რასაც ოქროზე ვერ გადაცვლის, არა აქვს ფასი.

ხალხური პოეზია გოეთეს ერის კეთილი სულის იმ მეტყველ ანარეკლად მიაჩნდა, სიხარულსა და მწუხარებაში ყოველთვის რომ აქვს სათქმელი. ხალხური სიბრძნეც ის ნიროცვლელი მშვენიერება იყო მისთვის, ხალხის უბრალოებით, ზედმეტი სამკაულები გარეშე რომ ინახავს სიცოცხლის უზენაეს ხალისს. ყოველივე ხალხურს ღონე და კეთილშობილება შეაქვსო კაცთა შრომაში, სიხარული – ტანჯვასა და წვალებაში. მასში ხედავდა გოეთე მშვენიერების სულით გამსჭვალული მარადიული ჰანგების წყაროს, ჟამთა დინებას რომ უძლებს.

პოემის უამრავი სცენა თუ პასაჟი ამიტომაცაა გამსჭვალული ღვთაებრივი შენადნობივით სრულყოფილი, ხალხური კილოთი ნასაზრდოები სტრიქონებით. ვერც ქართულ ტექსტში ნააწყობები ყალბხმოვანების ნატამალსაც კი:

„შორი გ ზები დავვილია, / განა ბაღში განაზარდი // შევახამეთ ღერო - ღეროდ / უჩინოსთან საჩინარი, / ფერი როცა ფერსა მფერობს, / სილაბაზე მაშინ არი.“

ამონარიდად წარმოდგენილი მეზაღე ქალების ეს დანამლერი დედანში მენუეტის მელოდისზე გაშართული. ოლონდ გოეთემ მიმართა არა თავდაპირველ, ხალხური ცეკვის 3/4 ტაქტის მქონე მელოდია, არამედ მის განვითარებულ ფორმას, როდესაც მენუეტის აქტიურული რიტმით სამეჯლისო ცეკვად გადაიქცა. მთარგმნელი მას ქართული ხალხური პოეზიისათვის დომინანტურ სქემას, რეჟიმარცვლედს, უმარჯვებს და გამოკვეთს კიდევ პასაჟის რიტმულ-სემანტიკურ თავისებურებას. თარგმანში ბევრი მონაკვეთია რეჟიმარცვლედზე აგებული. თუნდაც ლემურების დანამლერი, ფოლკლორულ შედეგებს რომ არ ჩამოუვარდება:

„სანამ ვიყავ ახალგაზრდა / თავში ტრფობის ალი ქროდა / სადაც ცეკვა-როკვა იყო / ფეხიც იქით გამიბრბოდა. // არ დამინდო როცა ხანმა / თავს სიბერე დამარისხა, / ღია კართან მივფორხილდი / კარი დამხვდა სამარისა.“

აქ ერთი ფარული ინტენცია შეინიშნება: რეჟიმარცვლიანი საზომი ქართველი კაცის ძვალსა და რბილში გამჯდარი, რუსთაველის თექვსმეტმარცვლიანი შაირის ნახევარს შეადგენს და მისი ხშირი გამოყენებით მთარგმნელი ერთგვარად გვამზადებს, რომ შესაფერის სცენაში რუსთაველის ფრაზების ხმოვანება სადღესასწაულო ჰიმნივით გააჟღეროს.

მთარგმნელის დიდოსტატური ხელწერა იმ სცენებში მუღავნდება, სადაც აზრი მაქსიმალურად არის დაშფოფული. ფორმულის გამომსახველობამდე დაყვანილ მცირე ზომის დიალოგში ფაუსტსა და მეფისტოფელს შორის, კონტექსტი თვით ორიგინალშიც გაურკვეველია. ეს გოეთეს მხატვრული ხერხია. ბევრი სცენა მასთან ბუნდოვანებაში იბადება და განვითარებას მომდევნო პასაჟებში აღწევს. აქ მთარგმნელმა ჯერ ინფორმაციულ-სემანტიკური სიბრტყე უნდა გადალახოს. ეს ის სცენაა, რომელშიც ცხენებზე ამხედრებული პროტაგონისტები გრეთქენის საპყრობილედან გამოსახსნელად მიიჩქარიან. აზრობრივად დატვირთვა მონაკვეთში ორ სიტყვაზე მოდის – der Rabe (ყვავი) და weben (აქ: ქსელის გაბმა, ხლართვა, ჩმახვა). Rabenstein ის ადგილია, სადაც, გერმანული მითოლოგიური გადმოცემის თანახმად, დამნაშავეთა დასასჯელად სახრჩობელა აღიმართებოდა ხოლმე და იქ ავის მომასწავებელი ყვავი ჯდებოდა. მხატვრული სახის ბუნების გახსნა თარგმანში ხერხდება სწორედ ამ სიტყვისა (საქონდაქრე; ქონდაქარი, ჯალათი) და ლოგიკური მახვილის მქონე სხვა სიტყვათა სინონიმური გამოვრებით. ზუსტად მორგებული ლექსიკა, თორმეტმარცვლიანი საზომი და სამეჯრადი წყვილდრითიანი ტაქტები დამაჯერებლად სრულყოფენ კონტექსტის სახეობრივ სისტემას.

- F: Was weben die dort um den Rabenstein ?
- ფ: ის რა გნასია, იმ შიშველ ადგილთან ?
- M: Weiß nicht, was sie kochen und schaffen.
- მ: ჰგავს, საქონდაქრეა, შეეშვი, რად გინდა!
- F: Schweben auf, schweben ab, neigen sich, beugen sich.
- ფ: დაფრენენ, ბრუნავენ, შექმნიათ ფართქალი.
- M: Eine Hexenzunft.
- მ: გრძნეულთა დასია, ალქაჯთა ამქარი.
- F: Sie streuen und weihen.
- ფ: ჩხიბავენ, ქარჩხავენ, რაღაცას ფანტავენ.
- M: Vorbei! Vorbei!
- მ: გავნიოთ, ნუ გინდა! მიუშვი სადავე!

გოეთეს პოეტური ხედვით შექმნილი სიტყვათმემოქმედებითი ერთეულები

ინტერპრეტაცია პერმენეტიკულ მიდგომას არ მოითხოვს. თუ მათი გაგება და ფუნქციის ამოცნობა (დივი-ნაცია) მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, თავსატეხს მანაც ქმნის იმ სემანტიკური დასკვნების გამოტანა (ინფერენცი), რომელთა საფუძველზეც მთარგმნელმა მკითხველის წარმოსახვაში ადეკვატური ხატი უნდა შექმნას.

ქვემოთ მოყვანილი ოთხი დერიტაცი ნათელი მაგალითია ენის ინდივიდუალური გამოყენებისა, როდესაც მთარგმნელი თავის წარმოსახვის ძალას ოკაზიონალურ მხატვრულ სახეებში აქსოვს. ერთ მათგანზე მთარგმნელი თავად მიანიშნებს, რომ ის, ისევე როგორც დედანში, ბიბლიური ტექსტიდან არის აღებული: „და მისლვა-ყვავ წინასწარმეტყველას მიმართ, და მუცლად-ილო და შვა ძე. და თქვა უფალმან ჩემდამი: უწოდე სახელი მისი: მალიად წარმოტყუენე, მსწრაფლი ი ა ვ ა რ - ყ ა ვ...“ (ესაია, 8,3. მცხეთური ხელნაწერი, 1985, გვ. 79)

დედნისეულ Raufbold-ში მორფემა bold დამოუკიდებლად არ იხმარება. ის თავის მნიშვნელობას შედგენილ სიტყვაში იძენს და გამოხატავს პიროვნების


დამახასიათებელ თვისებას: der Trunkenbold-ლოთი; der Streitbold-აშარი, ჩხუბისთავი; der Juxbold – ხუმარა. სიტყვა უკავშირდება ზმნას raufen – (აქ: ჩხუბი, წენვა-გლეჯა, ძიძგილაობა, თმის მოქაჩვა). თარგმანში გამოყენებულია ზმნა იავარყოფა-ს პერსონიფიკირებული ფორმა – ი ა ვ ა რ ყ ა ვ ი, რაც ტექსტს ეფექტურობას მატებს. ასევეა სხვა სახელების შემთხვევაშიც:

Habebald ასევე ორნანილიანია. Hab(e)-იქონიე; bald – მალე, სწრაფად. თარგმანში გათვალისწინებულია hab ფუძით ნაწარმოები და ასევე მსგავსი ჟღერადობის სიტყვები – die Habe ქონება და der Habicht ქორი. შესაბამისად მიგნებულია ადეკვატური ქართული ვარიანტი – მ ო ნ ი ნ ა დ ა ვ ლ ე .

Eilebeute: die Eile სიჩქარე, რაიმეს სიჩქარეში მოხვლეთე; die Beute ნადავლი. ქალს უხარია, რომ მოსავლის ჟამი

ძველთაგან თქმულა, ვერ ენევი მიზანს სასურველს, თუ არ მღვიძარებ, დღიდან დღემდე თუ არ იორვი. თავისუფლებას და სიცოცხლეს ის იმსახურებს, ვინც იგი ბრძოლით მოიპოვა ყოველდღიურით. და ებრძვის საფრთხეს, თუ ცალ-ცალკე, თუ დარაზმული, ყმანვილი კაციც, მონიფულიც და ხანდაზმულიც. ასეთი მინდა რომ ვიხილო ახალი ტომი, თავისუფალი, თავისუფალ მინაზე მდგომი. მაშინ, ო, მაშინ გულავსილი, მძლავრი, ხშიერი, „შეყონდი, წამო“, შევძახებდი, „ხარ მშვენიერი!“ და ვირწმუნებდი: ჩემი კვალი მუდამ იქნება, სამარადისოდ ეონებში არ დაინთქმება. ბედნიერების მოლოდინით, უხინჯო შვებით, ამ უზენაეს წამს შევხარო! წინასწარ ვტკბები!

კაცობრიობის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის შემცველი ეს სტრიქონები ფაუსტის უკანასკნელი მონოლოგიდანაა – ორიოდ წამში ის სულს განუტყვევებს და უფლის სამსჯავროს წინაშე წარსდგება. მისი სხეული მინას მიბარდება, სულს კი ანგელოზები ზეცას წარიტაცებენ. უკვე მომაკვდავი თავისი მიმქრალი სულთქმის შენარჩუნებას აღარ ლამობდა, მხოლოდ მომავალი, თავისუფალი საზოგადოების ამაყი ხატი ესახებოდა. ამ სრულიად განსხვავებულ შტრის ფაუსტის პრობლემეტიკაში მყარი საფუძველი აქვს. გოეთემ თავისი გმირი შუა საუკუნეების ჯურღმულებს გამოარიდა, რათა ის, ახალი დროების კვალობაზე, გონიერების შუქით განათებულ ბილიკზე დაეყენებინა. ფაუსტის ცხოვრების გზა სწორხაზოვანი არ ყოფილა, ნებისმიერ წამონყებაში ფათერაკი ელოებოდა მის გამაღებულ სრბოლას. სამყაროს შეცნობა ეწადა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სრულყოფილებას არა ვარსკვლავებს მიღმა, არამედ მისთვის განკუთვნილ ჟამთა დინების მანძილზე აქ, მინაზე, უნდა ზიარებოდა. სიხარული და კაემანი არ მოჰკლებია, ამაყიც ყოფილა და ტანჯულიც, მაგრამ სიცოცხლის თამამი წყურვილით შეპყრობილს ყოველივე უზენაესი სიკეთისა და მშვენიერების არსის შეცნობაში ეხმარებოდა, რათა შეცნობილი არსებობის კანონად შეერაცხა. მეფისტოფელთან, ეშმაკის ამ პირნავარდნილ ხატებასთან თანაარსებობაში, ადრევე გამოეთხოვა ქედმაღლურ ცრურწმენებს, შეცდომაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ იცხოვრა იმისათვის, რომ მოყვასისთვის გზა გაეკვალა. მიხვდა, რომ ამ ნუთისოფელში დასახული მიზნის მისაღწევად უნდა ეცხოვრა და არა ამქვეყნიური სიტკბოების შესარგებად. ეს სულისკვეთება აცისკროვნებ-



ნინო დარბაისალი

ეს ოპუსები სხვადასხვა დროს, თუმცა ერთი კონტექსტის (ქართული კულტურის ტრანზიციული ფაზის) პირობებში იქმნებოდა და სრულიად პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა - დახმარება გაენია დამწყები ავტორებისთვის, რათა ლექსმცოდნეობის თეორიულ საკითხებში, რაც შეიძლება, მარტივად გარკვეულიყვნენ. ყოველ შემთხვევაში, ავტორი, ანუ მე ასე მივიჩნევდი. ვალიარებ, დამწყებ ავტორთა მნიშვნელოვანი ნაწილი სულაც არ ფიქრობდა, რომ რაიმე იყო შესასწავლი პოეზიაში და მთლიანად „მუზის კარნახის“ იმედად რჩებოდა. მაგრამ მეგულებოდა გამოცდილებით.

ხომ წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტს სად გავექცევით - მრავალსაუკუნოვანი ქართულ პოეზიის პატრონებს სამი საუკუნის წინათ მამუკა პარათაშვილის შექმნილი

„ჭაშნიკის“ მერე დღემდე ლექსის თხზვის სახელმძღვანელო არ მოგვეძებებოდა და ეს მაშინ, როცა სხვა კულტურული ქვეყნების წიგნის მალა ზიებში მთელი თაროებია სავსე ასეთი ლიტერატურით.

არადა, ქართული სამეცნიერო-ლექსმცოდნეობითი ტრადიცია განვითარების ისეთ საფეხურზეა, რომ ნამდვილად არსებობს კარგი თეორიული ბაზა ასეთი სახელმძღვანელოს შესაქმნელად. ახალგაზრდობაში მეომედებოდა, რომ ერთხელაც იქნებოდა, სხვა თუ არა, მე მაინც შევექმნიდი ასეთ სახელმძღვანელოს... თუმცა რეალურმა ყოფამ სხვა პრიორიტეტები დამახვედრა ცხოვრების გზაზე და ვერ შევეძელი.

იმედს ვიტოვებ, რომ ახალგაზრდა მკვლევართა, ავტორთა შორის აღმოჩნდება ის, ვინც ამ საქმეს ითავებს.

ჩემი წარმოდგენით, ასეთ ავტორში შერწყმული უნდა იყოს ორივე: ერთი - ნე და პედაგოგი, თუმცა არა მგონია, აუცილებელი იყოს, რამე ამ ტიპის ავტორში იყოს საუკეთესოდ მოიაზრებოდეს. უბრალოდ, საჭიროა ასეთი სამკუთხედი - შემოქმედებითი ალღო, შესაბამისი თეზაურუსი და რთულ საკითხთა მარტივად გადმოცემის პედაგოგიური გამოცდილება.

მობარული ვიქნები, თუ ჩემი ნაწერებიდან, რომელიც ძირითადად ინტერნეტშია გაბნეული, მას რაიმე მაინც გამოადგება. ამჯერად კი ვსარგებლობ ბედნიერი შესაძლებლობით და ბეჭდურად პირველად ვაქვეყნებ რამდენიმე პოეტიკურ ოპუსს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებისთვის

პოეზიური ოპუსები

№1

ხუთი სონეტი

(პრაქტიკული სავარჯიშო თხზვაში დამწყებთათვის)
გართიმის სქემის მიხედვით, სონეტის ძირითადი ტიპი სამია: პეტრარკული - (abbaabba cde cde) შექსპირული - (abab cdcd efef gg) სპენსერული - (abab bcba cdcd ee) თუმცა სახეობა არცთუ ცოტაა. ამ სამ ტიპს ერთი სახეობა დაუმატებ: (abbaabba cdcd ee) ბოლოს დანტესეული „ტერცა რიმატ“ შემოვამატებ ჯაჭვური რითმით: (aba bcb cdc ded as). თხზვაში მშვენიერი სავარჯიშოა. აქაც, როგორც შემთხვევითა უმრავლესობაში, შინაარსი პირობითია და შერჩეული.

სონეტი ოაქოატს

(პეტრარკული - abbaabba cde cde)

როდესაც კაცი შინ ბრუნდება განთიადისას, ღამნათევი გამოგინდის ძვირფას თაიგულს, განა ვერ ხვდები, ფარავს ასე რაღაც ვერაგულს, გენვის შიგანი, თითქოს გულზე დანა დაგისვა. როგორ მოიქცე, არის რამე გამოსავალი? კარს გაიხურავ? საით ნახვალ? ვინ გელოდება? იქნებ, ატირდე. რას გიშველის ანდაც გოდება? მოგეძალება მცდარ-მართალი ფიქრი მრავალი. აპატიეო შეცოდება, რამდენჯერ, რატომ? დაბერდებაო, ზედ კალთაზე მოგებმებაო. მთურაღთან სჯა არ ღირს, ფხიზელს ძველი არ გაახსენო?

იქნებ, სჯობია, რომ განაგრძო ცხოვრება მარტომ. ხვედრია ჩვენი, ეგაც - ქალად დაბადებაო! ეჭვიანობავ, შენ მეტრფეთა მარადო სენო!

ინგლისური სონეტი - ყახეკ

შექსპირული (abab cdcd efef gg)

ველისციხეში უწინაინად ლეღვი ჩამტკარა, ხოლო რქანითელს თაფლი გასდის, წვენი კი არა. დაიწყოს რთველი, ამოდენა ლოდინი კმარა, აგრძელდა უკვე და წვიმებმაც გადაიარა. ამ დროს ყველაზე ძნელი არის გაძლება სხვაგან, არ არის კუთხე, რომ შეიძლო მიმყუდროება, გადაკარგული შინაურებს აკლიხარ რადგან, ვერსად ეტევი, დედამინა გვევინროება. რომ დაიწყება ჩემს სოფელში რთველი, რა რთველი! - ხელს ვერ შეუშლის უგზობა და უამინდობა. ერთად ყოფნა აქ მთავარი, თორემ ქართველი ყურძენს სხვაგანაც კი იყიდის, თუ მოინდომა. რა ძალა დაძლევეს, თუ კახელი თავს გაიხელებს, კახელთა შორის ვენაცვალე ველისციხელებს!

სპენსერული სონეტი - სენი

(abab bcba cdcd ee)

ქვეყნად ყველაფერს ამჩნევია რაიმე კვალი, თვით ნახუნთესაც კი უხილავი კვალი დარჩება. იგრძნობა, მაგრამ ვერ იხელთებს ხელი და თვალი, ცდილობ და თითქოს შეგიძლია სხვებში გარჩევა. იგრძნობს გული და სინარულით მოიფარჩება, ყველა სიამე ეგონება უცებ კეთილი, ხომ იცის უკვე, დანაკოდი არ და არ რჩება, მაგრამ ასეა, ვერ ისწავლა მან გაკვეთილი. სადმე რომ იყოს მღვიმე, კლდეში გამოკვეთილი და სამუდამოდ ეწყოს მწკრივად ყველა სურნელი, როგორც კოლბებში ინახება სპირტი - ეთილი, იცნო საცნობად ნაზავები მძაფრი თუ ნელი! იცნო სურნელი - ოცნებაა, ფუჭი სულ ამო, ყველაფერს ნიღბავს, ასხვავებებს რადგან სუნამო.

ყახეკი ყახიაცია - სონეტი ყოლონ

(abbaabba cdcd ee)

ჩემო პატარა მეგობარო, სალაში შენდა! სადაც წავედი, ყველგან მერგო შენი ნაკბენი. ვიცი, ტკბილი ვარ, მაგრამ მკბინო იქნებ ნაკლები! ასეთ გატანჯვას სხვა ამქვეყნად ვინ მოითმენდა. დასიბუღულზე კაცი ძმრიან ტილოს მათუნდა, ვინძლო, ჩაეცხრო ეს ქაილი არდასათმენი. ყველგან მატყვია საქებარი შენი საქმენი, მათ დაცხრობაში მთელი ღამე ზედ დაგვათენდა. შეხედე ბუზებს, ჭიანჭველებს, სხვადასხვა შწერებს! ყველა განყდება სასურებლით ან რამე ხრიკით. შენ კი ... ვერაფერ შენზე მეტად ვერ ვაშაშინარებს. ყურში ჩამბზუი, გზა არ გქონდეს თითქოს ჩემს იკით. სადღა გავიქცი! გინდ ვიფრინო, გინდაც ვიღროლო. ას კაცშიც ვიყო, შიშოვის და მე მიქებენს კოლო!

ტერცა რიმატ

(aba bcb cdc ded aa)

ან სალხინობელს ან ჯოჯოხეთს სხვაგან რა უნდა, ათასჯერ მეტის დამტეგია ეს ჩვენი ყოფა. რაც უამი გადის, კიდევ უფრო გაუცხავურდა, სულ მიგვატოვა უფლის ნებამ, ასე ეტყობა, ისე მოგვედო განსაცდელი და გეპენია. დღეს ავ-კეთილი ერთურთისგან ვერ გაიყოფა. ჭირის ჭირს ჩვენსას თუ გადმოსცემს შენი გენია, შენ შეგიძლია, დაგვანახე გამოსავალი, თორემ სად მოვხვდით, ისიც ველარ დაგვიდგენია! თავს დაგვეცდომია განსაცდელი მრავლის მრავალი, დედა შვილს ხელში ვერ აიყვანს, უკვე საცაა. არარა მოჩანს, რა სამოთხე, რა აღსავალი! თეთრი ვარდიდან შუქი ჩვენკენ თუ არ დაბრუნდა, ასე უღმერთოდ - ვინ გაიგოს, აქ ვის რა უნდა!

▶▶ ბაბრძლვა იქნება

დაუღდა და ნადავლს ხელში ჩაიგდებს. სახელიც შესაბამისი დაერქვა - ი ვ ს ე კ ა ლ თ ა.

Haltefest უკავშირდება ზმნას halten მნიშვნელობით ჭერა, პყრობა; fest კი ნიშნავს მტკიცედ, მყარად. ფრაზამ „რასაც მოვიგდებ, ველარავინ გამაგდებინებს“, განაპირობა კიდევ პერსონაჟის სახელი მ ტ კ ი ც ე დ ი მ ყ ა რ ი.

ნაცნობი ლექსიკის გაუცხოებული ფორმები აღიქმება მომდევნო მონაკვეთში. ცხადად შეიგრძნობა, თუ როგორ სახიერდება რწმენის სიმხურვალე სიტყვათა პლასტიკურ ფორმაში, რაც მთარგმნელისეულ დერივატებს სულიერი არსებების სახით წარმოგვიდგენს:

- ქრისტე აღდგა!
ან შეება-ხალისით
ძაძანი განისხით!
რჯით-შემამკობათთვის, Tätig ihn Preisenden
სიყვარულ-მყოფათთვის, Liebe Beweisenden
ძმებრივ-მპურობათთვის, Brüderlich Speisenden
ნუგეშით-მხმობათთვის, Wonne Verheißenden
ხარებად-მგზობათთვის Predigend Reisenden
აქავ არს მოძღვარი!
თანა ვალს ცოცხალი!

ეს ნიმუშები ცხადყოფს, თუ როგორ აქვს გათავისებული მთარგმნელს გოეთესეული ხატი, როგორ ანეიტრალებს იგი სიტყვათა გრამატიკულ-სემანტიკურ ნორმათა ფარგლებს და აგნებს თვალშისაცემად უჩვეულო ფორმებს, რომლებიც მხოლოდ სიტყვათმომქმედებითი ხელოვანის ინტუიციას ხელენიფება.

„ფაუსტი“ საღეჟსო მხატვრული აზროვნების ფორმა და მასშიც საღეჟსო პოეტის კანონები მოქმედებენ. გაბმული მეტყველების გამო, ერთმანეთთან აზრობრივ-სტრუქტურულად დაკავშირებული წინადადებები განსაკუთრებული სიმჭიდროვით გამოირჩევიან. ტექსტი ნაწევრდება 2-მ-სტრიქონიან სტროფებად. მთარგმნელი უკიდურესი სიზუსტით იცავს ავტორისეული ტექსტის მთლიანობას და მისი ლექსე-



მატურ-სემანტიკური ბმულობის ბუნებრიობას. ფუნქციური თვალსაზრისით პოემა დაყოფილია ტექსტუალურად განსხვავებულ მონაკვეთებად, რომელთა შორის უმეტესი ადგილი მონოლოგებს ეთმობა. თვით დიალოგებსა და ჩანართებშიც მეტყველება ხშირად იძენს მონოლოგის ფორმას. მთარგმნელი ზუსტად მიჰყვება ტექსტის ავტორისეულ სემანტიკას, რათა თავიდან აიცილოს გაბმული მეტყველებისათვის ეს-ოდენ ტიპიური ჰომოგენურ მოვლენათა ჯაჭვის მონოტონურობა. ლოგიკით იმპლიცირებული ქვემოთ განსხვავებები ადვილად დაგვარწმუნებს მთარგმნელის ერუდიციასა და მისეული ინტენციის მართლზომიერებაში.

ვაგნერის მიერ მოყვანილი დასაბუთება კოლბაში ხელოვნური ადამიანის შექმნის თაობაზე, სიმცირის მიუხედავად, ის მნიშვნელოვანი სინტაქსური ერთეულია, რომელშიც მთარგმნელისეული ინტერპრეტაცია სრულყოფილებას აღწევს. კონტექსტის უდანაკარგოდ ორგანიზებულ იდეასა და შინაარსს (კოპერენცი) მხარს უჭამს ტექსტის ზედაპირული, ენობრივ-ფორმალური გადაწევა (კოპენია):

დროა, დავადლოთ გამრავლების უხამსი წესი, ან კაცთა მოდგმა აღარ უნდა ჩავსახოთ სექსით. სუსტი ნერტილი, ინყებოდა სიცოცხლე რითაც, ჯერ შიდა შრეებს იერთებდა, მერე გარეთას, ფართოვდებოდა და თავის თავს თვითონვე ქმნიდა, მაგრამ ან მორჩა, შეიცვლება დღეს ვითარება, რადგან ის, რასაც უწოდებენ ზოგჯერ სიამეს, შეშფერის პირუტყვს, მაგრამ არა ადამიანებს, ხოლო თუ კაცი მალაღია სხვა ყველა არსზე, არ უნდა ჰგავდეს წარმოშობით არსთაგან არცერთს!

წინადადებების გადაბმა და ენობრივი ერთეულების ზეფრახულ მონაკვეთებში გადანაწილება აქ მიღწეულია გაბმული მეტყველების ჯაჭვურკავშირითი გადაბმის წესით. პირველი ორი სტრიქონის გარეშე მკითხველი მონაკვეთის სიტყვებსა და კონკრეტულობას უთოოდ მოისაკლისებდა. აფორიზმთან მიახლოებული ბოლო ორი სტრიქონის გარეშე, მონაკვეთი ასევე მოკლებული იქნებოდა აზრობრივ სისრულეს. შუა ველის წინადადებები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აზრი ვითარდება თანდათან. გადაბმისათვის გამოყენებული მთელი რიგი ლექსიკური ერთეულები სინონიმებად აღიქმებიან და მონაკვეთის გაბმულ მეტყველებას სწორი მიმართულებით წარმართავენ. განსაზღვრებითი კონსტრუქცია „გამრავლების უხამსი წესი“ შეიცვალა ზმნისა და არსებითი სახელისაგან შედგენილი სინტაგმით „სექსით ჩასახვა“. არსებით სახელს „სექსი“ ენაცვლებიან პირის ნაცვალსახელი „ის“ და არსებითი სახელი „სიამე“. სინყისი ზმნა „დავავდლოთ“ შეიცვალა უარყოფითი ზმნური კონსტრუქციით „აღარ უნდა ჩავსახოთ“. მონაკვეთის ფინალურ ნაწილში ნარატაჟი წყდება და კავშირებით მ ა გ რ ა მ და რ ა დ გ ა ნ ტექსტს ახალი შემართვა ეძლევა. ამასთანავე, ვრწმუნდებით, რომ მაქვემდებარებელი კავშირებით აგებული ქვეყნობა არც პოეტურ ტექსტშია მიუღებელი, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ქართული ზმნის რიტმული ბუნება იძლევა. კავშირით ხოლო დაწყებული ბოლო ორი ტაქტი მონაკვეთს დასკვნითი აზრით სრულყოფს.

გვასსოვლეს გარდასული

შენუხებული კი არა, შეძრწუნებული ვარ ჩემს სამშობლოში არსებული გარემოებით. ერთხანს თავს ვიკავებდი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებებზე ფიქრებისაგან მაგრამ ფიქრი და აზრი ჩემს ნებას უკვე არ ემორჩილება.

ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მეტისმეტი გაუგებრობაა! გაუგებრობა? - არა! ეს არის სიბნელე, სიჩლუნგე... ნუთუ 30 წელი საკმარისი არ არის, რომ ქვეყანა სახელმწიფოს დაემსგავსოს და ხალხი ხალხს? დიახ, 30 წელია უკვე, რაც თავი დავიხსენით ეგრეთ ნოდებული უფროსი ძმების კლანჭებისაგან, გავხდით, თითქოს დამოუკიდებლები და რა მივიღეთ? - ქაოსი!

ვტრიაბახობთ, უძველესი საუკუნეებიდან მოსული ხალხი ვართო, სახელმწიფოებრიობა მაშინ გვექონდა, როცა ევროპის კონტინენტს ჯერ კიდევ ეძინაო. ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

რა მერე? საამაყო ეს ყველაფერი, მაგრამ დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების არეულ-დარეული სურათების შემყურე, გაკვირვებული და დაჩქვებული ვარ. ნუთუ ჩვენა ვართ ის ხალხი, ვინც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია შეიმოქმედა და თავისი კულტურის, ცივილიზაციის ეტაპობრივი განვითარებით დღემდე სრულყოფილად მოვიდა? არა, არა! თავს ნუ მოვიტყუებთ, გასულ საუკუნეებს თავისი მივავით, მაგრამ დღევანდლობას სალი თვალი გავუსწოროთ, შავი ფერი თეთრისაგან გავარჩიოთ. ბოროტებას საკადრისი პასუხი გავცეთ. კეთილი საქმეების მკეთებელი გავამხსნევოთ.

ასე უნდა მოვიქცეთ, თუ წინსვლა გვინდა, თუ გვინდა, რომ საუკუნეებით წინ გასწრებულ ევროპას დავემეგობრდეთ, დაეუახლოვდეთ, ჩვენი თავი დავანახოთ! ყოველივე ამისთვის დიდი ძალისხმევა გვმართებს. შრომისმოყვარეობით, კანონმორჩილებით და წესრიგით უნდა დავანახოთ მსოფლიოს ჩვენი კულტურა, დავარწმუნოთ ყველანი, რომ მართლაც ისტორიული ხალხი ვართ, ღირსეული ხალხი! და ამის ნაცვლად, რა გვჭირს, რა გვემართება, როგორი სოციალური, ყოფითი, თუ პოლიტიკური გარემო შევიქმენით!

არ შეიძლება პოლიტიკა დავარქვათ იმას, რაც დღეს ხდება საქართველოში, და არა მარტო დღეს... სახელმწიფოს, მთავრობას, ქვეყნის სწორი გზით წამყვან ძალას წამდვილად მეტი შეეძლო ხალხთან ერთად, რა თქმა უნდა. მეტი შეეძლო და ვერ შეეძლო, ვფიქრობ, იმიტომ, რომ ხალხი ერთიანი არ არის.


საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი სულ სხვაგვარად აზროვნებს იმ ვაიპოლიტიკოსთა გამოისობით, რომლებიც ქვეყანას, უკვე კარგა ხანია, წლების წინ უკულმართად განვლილი ცხოვრებისკენ ექაჩებიან. მიზანი ძალაუფლების მოპოვებაა, მთავრობაში დაბრუნებაა. მათი ამ „უზენაესი“ მიზნის გამო, უკვე რამდენიმე წელია, ხალხს, ჩვეულებრივ ნათელი გონების მქონე ადამიანებს, მოაზროვნეებს მოსვენება არა აქვთ.

სამწუხაროდ, ოპოზიციასთან გაუთავებელმა ბრძოლამ მთავრობაც აიყოლია. ამან ქვეყნის სასიცოცხლო მიმართულების სტაგნაცია გამოიწვია, რაც კიდევ უფრო გაამძაფრა ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ. ეს უკანასკნელი უბედურება მთელ მსოფლიოშია მოდებული და კარგს არაფერს უქადის კაცობრიობას, მაგრამ ჩვენი სამშობლო განსაკუთრებით დაგვიჩაგრა. აქაც, ხალხი მთავრობას უყურებს უმადური თვალით. და გასაკვირი არც არაფერია, ჩვენ ხომ ასე გავიზარდეთ.

... ის, რაც თავს გადაგვხდა - გაფრთხილებაა, ამ ავბედითობის დაინწყება ნიშნავს, თავს ვიდოთ ბრალი. საჭიროა, მუდამდღე გვახსოვდეს გარდასული, რაც მოხდა, წამდვილად მოხდა, განხორციელდა და მისი კვლავ განხორციელება შესაძლებელია. მხოლოდ ამნაირ შეგნებას შეუძლია გვიხსნას მისი განმეორებისაგან“ (თამაზ ჩხენკელი, თვალსაწიერი. გვ.93).

თავად ცხოვრებაც ხომ ბევრ რამეს გვახსნავს. საუბედუროდ, ვერ ვისწავლეთ, ავბედითობის დაინწყება რომ არ შეიძლება! რატომ არ გვჯერა, რომ ბოროტებას თუ სათანადოდ არ გაუსწორებთ, თუ თავის დროზე არ აღმოვხვებით, ის დაბრუნდება! მთავარი ის არის, რომ არც დღევანდელმა მთავრობამ დაიჯერა გარდასულის განმეორების შესაძლებლობა... ისე უმართავს ხდის პროცესებს, რომელ მტერს არ გაუჩნდება სურვილი, ისარგებლოს ამ არეულობით და თავზე დაგვაქციოს ქვეყანა. ნუთუ ჰგონიათ, რომ საზღვარგარეთის, ევროკავშირის ელჩებთან ან ამერიკელ სენატორებთან საკუთარი მთავრობის დაბეზლებით გვეშველება რამე? თუ გვიფიქრია ამის შესახებ!

გულნარა სტურუა



ქართულ ხელოვნებას გამოაკლდა გამოყენებითი ხელოვნების მხატვარი-მონუმენტალისტი, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი მინის მიმართულებით ბატონი გერონტი (გენა) ექიზაშვილი. იგი დაიბადა 1948 წელს. 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის კერამიკა-მინის განყოფილება. მისი პედაგოგები

გერონტი (გენა) ექიზაშვილი

იყვნენ: გ. ქართველიშვილი, რ. იაშვილი, ა. კაკაბაძე. სადიპლომო ნამუშევარი იყო „დეკორატიული თევზების სერია“ ხელმძღვანელი რ. იაშვილი. 1974 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. მისი ნამუშევრები: მოზაიკა, ვიტრაჟები, პანოები დარჩება სანიმუშოდ თბილისსა და სხვადასხვა ქალაქებში მცირე არქიტექტურული ფორმების სახით. მას მხატვრულად გაფორმებული აქვს მრავალი ობიექტი: პანო „რთველი“ მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტის მუზეუმში, მოსკოვის „ინტურისტის“ ჭალი, კედლები და პლაფონის ფერწერული მოხატულობა, ბარელიეფი „თეატრი“ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი, ვიტრაჟი კაფე-ბარი რესპუბლიკის მოედანი, ქ. ტოლიატის მოსწავლე-ახალგაზრდობის კომპლექსის მხატვრული გაფორმება და მრავალი სხვა.

ბატონი გერონტი (გენა) ექიზაშვილი წლების მანძილზე იყო საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, შპს „საქართველოს მხატვრის“ გენე-

რალური დირექტორად შემოქმედებით მუშაობასთან ერთად იგი 1973 წლიდან დღემდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიაში. დაუფინანსებია მისი ღვაწლი ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. იგი იყო კერამიკისა და სუვენირების ქარხნის დირექტორი, ამჟამად კი კერამიკული ქარხნის „გენას“ და გალერეის დირექტორი, რომლის კარი ღია იყო მუდამ კერამიკოსების, მოქანდაკეებისა და სტუდენტების დასახმარებლად.

მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, საქართველოს, ბულგარეთის, გერმანიის, რუმინეთის კერძო კოლექციებში. მხატვრის ბიოგრაფია შესულია ბილიოგრაფიულ ენციკლოპედიაში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ და სამხატვრო გამოფენების კატალოგებში.

ბატონი გერონტი (გენა) ექიზაშვილის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების, სტუდენტებისა და კოლეგების ხსოვნაში.

საქართველოს
მხატვართა კავშირი

პოეტიკის პირთი ლექსი

მურად ჭოლოკაძე

მათთვის ვლოცულობ

ჩემს ობოლ შვილიშვილებს

ღმერთო, ამათთვის მაინც მაცოცხლე -
ობლებად დამრჩენ სულ პატარები,
ვჭირდები ნიკას, ნატას, მაცაცოს,
დაჭრილი გულით მყავს ნატარები.

მზის ამოსვლასაც მათთვის ვლოცულობ,
დღეები მინდა იყოს ხანგრძლივი...
როგორც მერცხალი ბარტყებს აპურებს,
მეც მყავს ასეთი შრომით დაზრდილი.

სიკვდილი ჩემთვის განა ძნელია -
განშორებაა ამათთან ძნელი,
ნულარ წამართმევ, რაც დამრჩენია,
გამომინოდე, უფალო, ხელი...

გზად დავაყენო ჩემი „ბარტყები“,
ჩემი სიცოცხლე და სიხარული,
სანამ ხესავით მეც გადავტყდები,
მათ სიყვარულში გადაზაფრული!

მერაბ სიხარულიძე

სტუმრად ვიყავი სიმართლესთან

სტუმრად ვიყავი სიმართლესთან ღარიბულ ქოხში,
მის ფერმკრთალ სახეს გადაკრავდა ფარული სევდა,
მიმოებნია მაგიდაზე ორიოდ გროში,
შავი პური და დოქით წყალი საწოლთან ედგა.

შემომანათა ღმობიერი თვალები ლურჯი,
მითხრა, მიჭირსო ქართველებთან თავის გატანა,
აქ მართლის მთქმელი აგდებული გყავთ აინუნში,
ადიდებთ ქრისტეს, თუმცა საქმით გამართავთ სატანა.

თქვენ ვერ შეირგეთ თვითმოსული თავისუფლება,
პირველ კაცობას ანაცვალებთ სამშობლოს ბედი,
მართალი კაცი აქ ითვლება ბრიყვად, სულელად,
მომრავლებულა არამზადა, ფლიდი და ყბედი.

ამოენურა აქ სიმართლეს უკვე მისია,
წავალ იქ, სადაც ჩემი ფასი უკეთ იციან,
თქვენ კი გფარავდეთ, როგორც ამბობთ,
ღვთისმშობლის ხატი,
მე რაც შემეძლო, გემსახურეთ იმისი ხათრით!

ბიორბი ტაბიძე (ვიკარი)

შენი ჰიზიკლი სიყვება

შენი პირველი სიტყვა,
შენი ხმა, როგორც მესა,
ჩემთვის ლოცვებად ითქვა,
ეს ხავერდოვნად მესმა.

შენი ხმა, ყოვლის შემძლე,
შენი ხმა, სევდის მჭრელი,
ამ ციაგ ბგერას ვეძებ,
ამ სათნო ნოტებს ველი.

ბგერა, უტყვი და მყარი,
მხიბლავს, მაგიჟებს, მათრობს!
შენი სიტყვები, მნათი,
ჩემს გაყინულ წლებს ათბობს.

ინტონაცია - ლალი,
- მე მაცისკროვნებს, ვფიცავ,
შენი სიტყვების თალი
მიმაგრებს გულის ფიცარს.

მე იმედს მაძლევ, იცი?
ეს კი სიცოცხლეს უდრის,
არაფერს არ განვიციდი,
მაცემე მებრძოლის მუნდირს.

შენი ყოველი სიტყვა
ჩემთვის სიყვარულს უდრის,
გზა გამარჯვებით მიმყავს,
ვგმობ ყოველ შიშს და წყურვილს.

ვგმობ ყოველ ჭმუნვას, შფოთვას.
ვგმობ ყოველ განვლილ ვარამს.

მეტად ვაგრძელებ შრომას
და ვუერთდები არაგვს.

დავქუხ და დავჭექ ისევ,
არ გაჩერდები, არა,
შენი ხმა მთელ დღეს მისდევს
და უტოლდება ქარაფს.

ხმა ჩუმად მიფრთხობს მე ძილს,
თრთოლა ჩემს ფიქრებს მისცა,
მერე გაუყვა ეკლიფსს,
სულის ნალკოტად იქცა.

ასე დარჩება ჩემში,
შენი ხმა ძალას ნიშნავს,
ნათელს მომაფენს ბნელში
და მე მივალწევ მიზანს...

მთავარი რედაქტორი **ივანე ამირხანაშვილი**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ქალისაბად მატარაძე**
ფინანსური მენეჯერი **ქაიხარაძე დემეტრე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ბაბა გველსიანი, გიორგი ბარბაქაძე**
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური **პოლდემარ ვანსკი**

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი:
საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862

გაგონის პარასკეობით



დაბეჭდილია შპს
„საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი,
თეგდორე მღვდლის 57

ISSN 1987-9806
9 771987 980005